ჟოზეფინა გუგავა

მსოფლიო კულტურა

მასწავლებლის წიგნი

თბილისი
2012

შინაარსი

შესავალი	4
საგნობრივი პროგრამა და სტანდარტი მსოფლიო კულტურაში	5
შინაარსისა და მისაღწევი შედეგების რუკა	12
სასწავლო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შეფასების ნიმუშები	14
გაკვეთილების სცენარები და განმარტებები	20
დამატებითი რესურსები	51

შესავალი

ახალი არჩევითი საგანი „მსოფლიო კულტურა“ განკუთვნილია X/XI/XII კლასის მოსწავლეთათვის. იგი მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს მოსწავლეებში კულტურული მრავალფეროვნების როგორც ფასეულობის დამკვიდრებას, განსხვავებული კულტურის პატივისცემის, მრავალფეროვან კულტურულ გარემოში წარმატებული ორიენტაციის, კულტურათაშორისი კომუნიკაციის, ურთიერთშემეცნებისა და ურთიერთგაგების უნარის გამომუშავებას. საგნის სწავლება ითვალისწინებს სტერეოტიპებისა და ქსენოფობიისაგან თავისუფალი, ტოლერანტი მოქალაქეების აღზრდას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამედროვე გლობალიზებულ, ეთნიკურად და კულტურულად მრავალფეროვან მსოფლიოში. შეძენილი უნარ-ჩვევები ხელს შეუწყობს პიროვნების ინტერესების რეალიზაციას მრავალეთნიკურ და მრავალკულტურულ გარემოში, როგორც საკუთარ ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

საგნის სწავლების ფარგლებში მოსწავლის მუშაობა მოიცავს თეორიულ კვლევას, პრაქტიკულ აქტივობას და შედეგების წარმოდგენას. გამოყენებული იქნება სწავლებისა და სწავლის შემდეგი ხერხები და მეთოდები: დისკუსია, კვლევა, ანალიზი, ესე, დებატები, როლური თამაშები, მოდელირება, ექსკურსია და ა.შ. საგანი ორიენტირებულია არა იმდენად დამახსოვრებაზე, რამდენადაც შედარების, ანალიზის, არგუმენტირებული მსჯელობის, დიალოგისა და თანამშრომლობის უნარების გამომუშავებაზე.

მასწავლებლის წიგნი მეთოდური სახელმძღვანელოა, რომლის მიზანია, დაეხმაროს პედაგოგებს სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და წარმართვაში. წიგნი ხელს შეუწყობს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას და მრავალფეროვანი, მოსწავლის ინტერესსა და აქტიურობაზე ორიენტირებული გაკვეთილის ორგანიზებას.

ახალი საგნის სწავლებასთან დაკავშირებული სირთულეების გათვალისწინებით, მასწავლებლის წიგნი გთავაზობთ სახელმძღვანელოს ყველა გაკვეთილის სცენარს. ეს არ გულისხმობს, რომ სავალდებულოა გაკვეთილების აგება მხოლოდ ამ სცენარების მიხედვით; პედაგოგს შეუძლია, საგაკვეთილო თემის, კონკრეტული კლასისა და მოსწავლის თავისებურებების გათვალისწინებით, საკუთარი შეხედულებისამებრ შეცვალოს გაკვეთილის გეგმა, მეთოდები და აქტივობები.

საგნობრივი პროგრამა და სტანდარტი მსოფლიო კულტურაში

1. ზოგადი ნაწილი

ა) შესავალი

საგნის – ,,მსოფლიო კულტურა'' – სწავლება ხელს შეუწყობს სოციალიზაციის პროცესში მყოფი მოსწავლის მიერ მსოფლიო კულტურათა მრავალფეროვანი სულიერი, საზოგადოებრივი და მატერიალური მიღწევების გაცნობიერებას; ამ კულტურათა ჩამოყალიბების, განვითარებისა და თანამედროვე ფორმების ადეკვატურ აღქმას; გლობალური პროცესების ინტერპრეტაციას კულტურის კონტექსტში.
საგნის სწავლებისას გამოიყენება მულტიდისციპლინური მეთოდი, რომელიც გულისხმობს მოსწავლეების მიერ სხვადასხვა საგნის შესწავლისას და საკუთარი გამოცდილებიდან მიღებული ცოდნის ინტერპრეტაციას და სისტემაში მოქცევას.
საგნის სწავლების ფარგლებში მუშაობა მოიცავს თეორიულ კვლევას, პრაქტიკულ აქტივობას და შედეგების წარმოდგენას. გამოყენებული იქნება სწავლებისა და სწავლის ისეთი ხერხები, როგორიცაა: დისკუსია, კვლევა, ანალიზი, ესე, ექსკურსია და ა.შ.
ამ საგნის შესწავლის შემდეგ მოსწავლეს შეექმნება ადეკვატური წარმოდგენა იმ მრავალფეროვან სამყაროზე, რომელშიც მას მოუწევს ცხოვრება და საქმიანობა.

ბ) საგნის სწავლემის მიზნები და ამოცანები

მსოფლიო კულტურის სწავლების მიზანია:

- მოსწავლემ გააცნობიეროს ცვალებად სამყაროში კულტურის მრავალფეროვანი ფორმების წარმოშობის, განვითარებისა და მოქმედების მექანიზმები და შედეგები.

მსოფლიო კულტურის სწავლების ამოცანებია, მოსწავლემ შეძლოს:

- კულტურის, როგორც საზოგადოებებს შორის მსგავსებისა და განსხვავების საფუძვლის გაცნობიერება;
- კულტურული მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბება;
- მრავალფეროვან კულტურულ გარემოში ორიენტაციის, წარმატებული კომუნიკაციისა და ტოლერანტობის უნარ-ჩვევების გამომუშავება.

მოსწავლეს მსოფლიო კულტურის საგნის შესწავლის პროცესში უნდა განუვითარდეს შემდეგი **სპეციფიკური და ზოგადი უნარები**:

- სოციუმში ორიენტაცია
- ახალ სოციალურ გარემოში სწრაფი ადაპტაცია
- ეფექტური კომუნიკაცია სხვადასხვა კულტურულ ვითარებაში
- კულტურათა და მათი მრავალფეროვნების ინტერპრეტაცია
- კულტურათშორისი ურთიერთობების მოდელირება
- პოზიციის შემუშავება, კრიტიკა და დაცვა
- პრობლემის გააზრება და მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა
- ინფორმაციის მოპოვება და ორგანიზება
- შემოქმედებითობა
- სწავლა
- კვლევა
- პრობლემის გადაჭრა
- თანამშრომლობა

მოსწავლე უნდა აღიზარდოს შემდეგ **მაღალზნეობრივ ღირებულებებზე:**

- სამშობლოს სიყვარული
- სხვა კულტურათა და კულტურული მემკვიდრეობის პატივისცემა
- კულტურათშორისი თანასწორობა
- ტოლერანტობა
- თანაგრძნობა და მზრუნველობა

გ) კურსის სწავლების ორგანიზება

საგანი – ,,მსოფლიო კულტურა'' – ისწავლება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საშუალო საფეხურზე (X/XI/ XII კლასში) არჩევითი კურსის სახით ორი სემესტრის მანძილზე და კვირაში ეთმობა 2 აკადემიური საათი.

დ) საგნის სწავლების მიმართულებების აღწერა

მსოფლიო კულტურის საგნობრივი პროგრამა შედგება შემდეგი ხუთი მიმართულებისაგან:

1. ბუნება და კულტურა
2. კულტურის უნივერსალიები
3. კულტურის ტიპოლოგია
4. კულტურათა მრავალფეროვნება
5. კულტურის დინამიკა

ამ საგნის შესწავლა მოსწავლეს დაეხმარება განასხვავოს ბუნებრივი და ადამიანის მიერ შექმნილი მატერიალური და არამატერიალური გარემო, გამიჯნოს ადამიანში მემკვიდრული (ანატომიური და ფიზიოლოგიური) და შეძენილი (სოციალურ-კულტურული) თვისებები;

მოსწავლე შეძლებს გამოავლინოს ნებისმიერი კულტურის უნივერსალიები (ენა, რელიგია, ხელოვნება, მორალურ-ეთიკური სისტემები, ფოლკლორი, საცხოვრისი, განსახლების ფორმები, ეთნოგრაფიული არტეფაქტები და სხვა).

მოსწავლე გაეცნობა კულტურათა ტიპოლოგიის განმსაზღვრელ ისეთ ფაქტორებს, როგორებიცაა: დროისადმი დამოკიდებულება, ტრადიციულობა და მოდერნულობა, სოფლისა და ქალაქის გარემო.

მოსწავლე გაეცნობა მსოფლიო კულტურათა მრავალფეროვნებას და პატივისცემით განეწყობა სხვა კულტურების მიმართ.

მოსწავლე გააცნობიერებს ნებისმიერი კულტურის ისეთ თვისებას, როგორიცაა შიდა და გარე ფაქტორების გავლენით განპირობებული დინამიკა.

2. საგნობრივი კომპეტენციები X/XI/XII კლასები

მსოფლიო კულტურა

სტანდარტი
წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები მიმართულებების მიხედვით:

ბუნება და კულტურა	კულტურის უნივერსალიები	კულტურის ტიპოლოგია	კულტურათა მრავალფეროვნება	კულტურის დინამიკა
არჩ.მსოფ.კულტ. X/XI/XII.1. მოსწავლეს შეუძლია გააანალიზოს ადამიანის ორბუნებოვნება: მემკვიდრული (ანატომიური და ფიზიოლოგიური) და შეძენილი (სოციალურ-კულტურული). არჩ.მსოფ.კულტ.X/XI/XII.2. მოსწავლეს შეუძლია განასხვავოს სამყაროს ორი შემადგენელი ნაწილი - ბუნებრივი და ანთროპოგენული.	არჩ.მსოფ.კულტ. X/XI/XII.3. მოსწავლეს ანალიზის შედეგად შეუძლია გააცნობიეროს, რომ ადამიანთა ნებისმიერი სტაბილური ერთობა გულისხმობს ამ ერთობის მდგრადობის უზრუნველმყოფი რეგულაციური სისტემების არსებობას.	არჩ.მსოფ.კულტ. X/XI/XII.4. მოსწავლე იკვლევს სხვადასხვა ფაქტორის გავლენას კულტურის ჩამოყალიბებასა და ფუნქციონირებაზე. არჩ.მსოფ.კულტ. X/XI/XII.5. მოსწავლეს შეუძლია იმსჯელოს თანამედროვე/ურბანული და ტრადიციული/რურალური კულტურების ძირითად განმასხვავებელ მახასიათებლებზე. არჩ.მსოფ.კულტ. X/XI/XII.6. მოსწავლეს შეუძლია გააცნობიეროს დრო, როგორც თანამედროვე საზოგადოების ერთ-ერთ ძირითადი რესურსი. არჩ.მსოფ.კულტ. X/XI/XII.7. მოსწავლეს შეუძლია გააანალიზოს და იმსჯელოს კულტურის ტიპის ისეთ განმსაზღვრელ მახასიათებლებზე, როგორებიცაა ,,ტრადიციულობა"და ,,მოდერნულობა" .	არჩ.მსოფ.კულტ. X/XI/XII.8. მოსწავლეს შეუძლია განიხილოს თანამედროვე სამყაროს კულტურული მრავალფეროვნება და იმსჯელოს კულტურათა თანაბარმნიშვნელოვნებასა და მათ შორის დიალოგის შესაძლებლობასა და საჭიროებაზე.	არჩ.მსოფ.კულტ. X/XI/XII.9. მოსწავლე იკვლევს კულტურათა ცვალებადობის მაგალითებს და შეუძლია იმსჯელოს იმაზე, რომ კულტურის დინამიკას შიდა და გარე ფაქტორების ერთობლიობა განაპირობებს.

წლის ბოლოს მისაღწევი შედეგები და მათი ინდიკატორები

მიმართულება: ბუნება და კულტურა

არჩ.მსოფ.კულტ.X/XI/XII.1. მოსწავლეს შეუძლია გააანალიზოს ადამიანის ორბუნებოვნება: მემკვიდრული (ანატომიური და ფიზიოლოგიური) და შეძენილი (სოციალურ-კულტურული).

შედეგი მიღწეულია, თუ მოსწავლე:

- მონაწილეობს დისკუსიაში და მისთვის ცნობილი მაგალითების მოყვანით ასაბუთებს, რომ კულტურა არ გადაიცემა ბიოლოგიური გზით;
- კლასში ჯგუფური ან ინდივიდუალური მუშაობისას ერთმანეთისგან განასხვავებს ადამიანში გენეტიკური და სოციალურ-კულტურული ფაქტორებით განპირობებულ ნიშან-თვისებებს;
- აფასებს სხვადასხვა კულტურაში ადამიანის ანატომიაზე ზემოქმედების დანიშნულებას და შედეგებს.

არჩ.მსოფ.კულტ. X/XI/XII.2. მოსწავლეს შეუძლია განასხვავოს სამყაროს ორი შემადგენელი ნაწილი - ბუნებრივი და ანთროპოგენული.

შედეგი მიღწეულია, თუ მოსწავლე:

- მისთვის ცნობილი მაგალითების მიხედვით მსჯელობს სხვადასხვა კულტურის დამოკიდებულებაზე ბუნებისადმი. განასხვავებს და აფასებს შესაბამის შედეგებს;
- ლოკალურ გარემოზე დაკვირვებით და ინტერნეტისა და მასმედიის საშუალებით მოიპოვებს ინფორმაციას. ამ ინფორმაციის ანალიზისა და შეფასების საფუძველზე გამოავლენს ბუნებისადმი დამოკიდებულების ფორმებს;
- შეისწავლის ადამიანის თანმხლები ცხოველების მდგომარეობას საკუთარ უბანში; აანალიზებს მათ მიერ შექმნილ საფრთხეებს და ეძებს ამ პრობლემების გადაჭრის ჰუმანურ გზებს.

მიმართულება: კულტურის უნივერსალიები

არჩ.მსოფ.კულტ. X/XI/XII.3. მოსწავლეს ანალიზის შედეგად შეუძლია გააცნობიეროს, რომ ადამიანთა ნებისმიერი სტაბილური ერთობა გულისხმობს ამ ერთობის მდგრადობის უზრუნველმყოფი რეგულაციური სისტემების არსებობას.

შედეგი მიღწეულია, თუ მოსწავლე:

- ჯგუფში და ინდივიდუალურად ადგენს ნებისმიერი კულტურისათვის დამახასიათებელი უნივერსალიების ჩამონათვალს. ირჩევს ამ ჩამონათვალიდან რამდენიმეს და განიხილავს მათ კონკრეტულ ფორმებს სხვადასხვა კულტურაში;
- მიმოიხილავს კულტურის გავლენას კაცობრიობის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ადამიანის ბიოლოგიური, სოციალური და პიროვნული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ფორმების გათვალისწინებით და წერს ესეს;
- ჯგუფში ან ინდივიდუალურად, საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე, მსჯელობს განსაკუთრებული საჭიროების მქონე ადამიანებთან კომუნიკაციის მნიშვნელობასა და სირთულეზე.

მიმართულება: კულტურის ტიპოლოგია

არჩ.მსოფ.კულტ. X/XI/XII.4. მოსწავლე იკვლევს სხვადასხვა ფაქტორის გავლენას კულტურის ჩამოყალიბებასა და ფუნქციონირებაზე.

შედეგი მიღწეულია, თუ მოსწავლე:

- საქართველოს, ან სხვა რომელიმე ქვეყნის მაგალითზე აღწერს და განიხილავს რეგიონების კულტურულ მახასიათებლებს და პოულობს საერთო და განსხვავებულ თვისებებს;
- საკუთარი გარემოს მაგალითზე იკვლევს თანამედროვე გლობალური ტენდენციების გავლენას ადგილობრივ კულტურაზე და აფასებს ამ ტენდენციების დადებით და უარყოფით მხარეებს;

- საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე, განიხილავს სოციალიზაციის სხვადასხვა ინსტიტუტისა და ავტორიტეტული პიროვნებების გავლენას თავის თავზე; მათ შორის გამოყოფს პრიორიტეტულებს და ასაბუთებს თავის არჩევანს.

არჩ.მსოფ.კულტ.X/XI/XII.5. მოსწავლეს შეუძლია იმსჯელოს თანამედროვე/ურბანული და ტრადიციული/რურალური კულტურების ძირითად განმასხვავებელ მახასიათებლებზე.

შედეგი მიღწეულია, თუ მოსწავლე:

- ეცნობა საქართველოს კუთხეებისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს და ადარებს მათ მსხვილი ურბანული ცენტრების კულტურას;
- საკუთარი, ან სხვა ოჯახების მაგალითზე იკვლევს ტრადიციული და თანამედროვე ქალაქური ოჯახების სიდიდეს, თაობების რაოდენობას, შვილიანობას; ახდენს მათ შედარებას, მსჯელობს განმაპირობებელ მიზეზებსა და ტენდენციებზე;
- მოსწავლე ადგენს ცხრილს, რომელშიც სხვადასხვა ეპოქის მიხედვით აისახება ადამიანთა სივრცითი და სოციალური მობილობის მაგალითები. აფასებს მობილობას, როგორც თანამედროვე კულტურის ერთ-ერთ ძირითად ფაქტორს;
- სხვადასხვა სიტუაციის განხილვის საფუძველზე აკეთებს ტრადიციული და ურბანული საზოგადოებებისათვის დამახასიათებელი სოციალური კონტაქტების ხასიათის ანალიზს და აკეთებს დასკვნას;
- არგუმენტირებული მსჯელობით ასაბუთებს არჩევანის შესაძლებლობას ტრადიციულ და ურბანისტულ კულტურებში.

არჩ.მსოფ.კულტ.X/XI/XII.6. მოსწავლეს შეუძლია გააცნობიეროს დრო, როგორც თანამედროვე საზოგადოების ერთ-ერთი ძირითადი რესურსი.

შედეგი მიღწეულია, თუ მოსწავლე:

- განასხვავებს თანამედროვე ურბანული და ტრადიციული აგრარული საზოგადოებებისთვის დამახასიათებელ დროის აღქმის თავისებურებებს და მსჯელობს ამის მიზეზებზე;
- აცნობიერებს დროის ერთიან აღქმას და ქცევის სინქრონიზებას, როგორც თანამედროვე საზოგადოების ეფექტური ფუნქციონირების აუცილებელ პირობას;
- ატარებს სხვადასხვა შეხვედრაზე დათქმულ დროზე მისვლის ან საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოძრაობის განრიგის სიზუსტის კვლევას;
- ინდივიდუალურად ან ჯგუფში მუშაობისას ადარებს ერთმანეთს სკოლისშემდგომი დროის განაწილების საკუთარ და თანაკლასელების გრაფიკებს; მსჯელობს საქმიანობებში მიღწეულ წარმატებებსა და დროის რაციონალური განაწილების კავშირზე;
- აანალიზებს, მსჯელობს და მოყავს კონკრეტული მაგალითები საკუთარი ოჯახის, ნაცნობების და მეგობრების პრაქტიკიდან; ჯგუფური დისკუსიის დროს გაიაზრებს პრობლემებს საფინანსო ვალდებულებების დროში შეუსრულებლობასთან დაკავშირებით და მოჰყავს მისთვის ცნობილი მაგალითები. მსჯელობს ცნობილი გამონათქვამის - "დრო ფულია" - არსსა და განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე თანამედროვე ცხოვრებაში.

არჩ.მსოფ.კულტ.X/XI/XII.7. მოსწავლეს შეუძლია გააანალიზოს და იმსჯელოს კულტურის ტიპის ისეთ განმსაზღვრელ მახასიათებლებზე, როგორებიცაა ,,ტრადიციულობა" და ,,მოდერნულობა"

შედეგი მიღწეულია, თუ მოსწავლე:

- ვენის დიაგრამის გამოყენებით აკეთებს ტრადიციული და მოდერნული კულტურების მახასიათებლების ანალიზს და მსჯელობს ტრდიციულობისა და მოდერნულობის თანაფარდობასა და მნიშვნელობაზე; საქართველოს ისტორიის, ლიტერატურისა და ხელოვნების ნიმუშების საფუძველზე გამოყოფს ქართული კულტურის ტრადიციულობა/მოდერნულობის დამადასტურებელ მახასიათებლებს;
- ინდივიდუალურად ან ჯგუფში ატარებს ლიტერატურის, კინემატოგრაფის, ფერწერის და ა.შ. სიუჟეტების ანალიზს და მსჯელობს განსხვავებულ კულტურებში საზოგადოებისა და პიროვნების მნიშვნელობის თანაფარდობაზე;

მიმართულება: კულტურათა მრავალფეროვნება

არჩ.მსოფ.კულტ.X/XI/XII.8. მოსწავლეს შეუძლია განიხილოს თანამედროვე სამყაროს კულტურული მრავალფეროვნება და იმსჯელოს კულტურათა თანაბარმნიშვნელოვნებასა და მათ შორის დიალოგის შესაძლებლობასა და საჭიროებაზე.

შედეგი მიღწეულია, თუ მოსწავლე:

- მსოფლიო მაგალითების განხილვით გამოავლენს კულტურული მრავალფეროვნების არსს; განასხვავებს და ადარებს ერთმანეთს კონკრეტულ სოციალურ-კულტურულ ნორმებსა და სტერეოტიპებს;
- სხვადასხვა საინფორმაციო წყაროზე დაყრდნობით აკვირდება მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს კულტურათა დიალოგის კონტექსტში და უკავშირებს მათ რეალურ შედეგებს. განიხილავს დიალოგს, როგორც კონფლიქტების პრევენციის საშუალებას;
- მისთვის ცნობილი მაგალითების განხილვით ადგენს, ერთი მხრივ, ეთნოცენტრიზმის, შოვინიზმის, ქსენოფობიის, რასიზმის, გამოვლინების ფორმებს და, მეორე მხრივ, შემწყნარებლობის/ტოლერანტობის მნიშვნელობას;
- საკუთარი და თანაკლასელების ინტერესებიდან გამომდინარე, მონაწილეობას იღებს გასვლით გაკვეთილებში მუზეუმებსა და/ან არქეოლოგიის, ისტორიის, არქიტექტურის ძეგლებზე. სკოლაში დაბრუნების შემდეგ მოიძიებს დამატებით ლიტერატურას კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვის მეთოდებთან დაკავშირებით და წერს ესეს;
- ინდივიდუალურად ან ჯგუფურად ადგენს საქართველოს მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სახეობების კლასიფიკაციას. აცნობიერებს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობისა და მისი დაცვის საზოგადოებრივ მნიშვნელობას.

მიმართულება: კულტურის დინამიკა

არჩ.მსოფ.კულტ. X/XI/XII.9. მოსწავლე იკვლევს კულტურათა ცვალებადობის მაგალითებს და შეუძლია იმსჯელოს იმაზე, რომ კულტურის დინამიკას შიდა და გარე ფაქტორების ერთობლიობა განაპირობებს.

შედეგი მიღწეულია, თუ მოსწავლე:

- გაიაზრებს სუბკულტურის, კონტრკულტურის და მასკულტურის ცნებების არსს; ჯგუფში განიხილავს ამ ცნებების მახასიათებლების ერთიან ჩამონათვალს და ადგენს შესაბამის კლასიფიკაციას;
- ახასიათებს საკუთარი და წინა თაობების კულტურულ ნორმებსა და ქცევის ნიმუშებს, გამოყოფს უცვლელ და განსხვავებულ მახასიათებლებს და უკავშირებს მათ კულტურის სახეცვლილებას დროში;
- ინდივიდუალურად იკვლევს ძველი ქართული კლასიკური ნაწარმოებების ენას, თანამედროვე ლიტერატურულ ენას და ყოფით მეტყველებას; აანალიზებს ერთი და იმავე ცნების ლექსიკურ ევოლუციას და უკავშირებს მას კულტურის ცვლილებას;
- აანალიზებს მასობრივი საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ტელევიზია, ინტერნეტი, მობილური ტელეფონი და ა.შ.) როლს თანამედროვე კულტურის განვითარებაში და ჯგუფში მსჯელობს ამ ტექნოლოგიების პერსპექტივებზე.

პროგრამის შინაარსი მიმართულებების მიხედვით

1. ბუნება და კულტურა

- კულტურა/ცივილიზაცია
- ბუნებასთან ურთიერთობის ფორმები
- გენეტიკური ფაქტორები
- გარეგნობა
- ტემპერამენტი
- ნიჭი
- ანატომიაზე კულტურული ზემოქმედება
- სამედიცინო ჩარევა
- რიტუალური ოპერაციები
- ადამიანის მიერ მოშინაურებული და მისი თანხმლები ცხოველები

და ა.შ.

2. კულტურის უნივერსალიები

- ენა და კომუნიკაცია
- რელიგია

- შრომა
- ხელოვნება
- მორალურ-ეთიკური სისტემები
- დემოგრაფიული ქცევის მოდელები
- მაგია
- მითი
- ზღაპარი
- აკრძალვები
- დროისადმი დამოკიდებულება
- მედია
- საზოგადოება
- განათლება
- იდეოლოგია
- სამართალი
- ეკონომიკური სისტემა
- სოციალიზაცია
- მკურნალობა
- რეკრეაცია
- თავდაცვა
- ესთეტიკა
- ნორმები და ნიმუშები
- სანიტარია და პირადი ჰიგიენის პრაქტიკები

და ა.შ.

3. კულტურათა ტიპოლოგია

- შემგროვებლობა
- ნადირობა
- მიწათმოქმედება
- მეცხოველეობა
- ტექნიკა და ტექნოლოგიები
- სოციალურ ურთიერთობები
- ტრადიციულობა
- მოდერნულობა
- ეროვნული თვითმყოფადობა

და ა. შ.

4. კულტურათა მრავალფეროვნება

- კულტურული სტერეოტიპები
- კულტურათშორისი განსხვავებები
- კულტურათა თანაბარმნიშვნელოვნება
- კულტურათა დიალოგი

და ა.შ.

5. კულტურათა დინამიკა

- ურბანიზაცია
- გლობალიზაცია
- სუბკულტურები
- მასკულტურა
- კონტრკულტურა
- კულტურული რეფლექსია
- კულტურათა დიფუზია
- აკულტურაცია
- ასიმილაცია
- მარგინალობა
- გენდერული საკითხები

და ა.შ.

შინაარსისა და მისაღწევი შედეგების რუკა

	გაკვეთილის დასახელება	შედეგები								
		1.მოსწავლე აანალიზებს ადამიანის ორბუნებოვნებას: მემკვიდრეულს (ანატომიურსა და ფიზიოლოგიურს) და შეძენილს (სოციალურ-კულტურულს)	2. მოსწავლე განასხვავებს სამყაროს ორ შემადგენელ ნაწილს - ბუნებრივსა და ანთროპოგენულს	3. მოსწავლე ანალიზის შედეგად აცნობიერებს, რომ ადამიანთა ნებისმიერი სტაბილური ერთობა გულისხმობს ამ ერთობის მდგრადობის უზრუნველმყოფი რეგულაციური სისტემების არსებობას	4. მოსწავლე იკვლევს სხვადასხვა ფაქტორის გავლენას კულტურის ჩამოყალიბებასა და ფუნქციონირებაზე	5. მოსწავლე მსჯელობს თანამედროვე/ ურბანული და ტრადიციული/ რურალური კულტურების ძირითად განმასხვავებელ მახასიათებლებზე	6. მოსწავლე აცნობიერებს დროს, როგორც თანამედროვე საზოგადოების ერთ-ერთ ძირითად რესურსს	7. მოსწავლე ანალიზებს და მსჯელობს კულტურის ტიპის ისეთ განმსაზღვრელ მახასიათებლებზე, როგორებიცაა „ტრადიციულობა" და „მოდერნულობა"	8. მოსწავლე განიხილავს თანამედროვე სამყაროს კულტურულ მრავალფეროვნებას მსჯელობს კულტურათა თანაბარღირებულ-ნელოვნებაზე და მათ შორის დიალოგის შესაძლებლობასა და საჭიროებაზე	9. მოსწავლე იკვლევს კულტურათა ცვალებადობის მაგალითებს და მსჯელობს იმაზე, რომ მის დინამიკას შიდა და გარე ფაქტორების ერთობლიობა განაპირობებს
1	მრავალფეროვანი მსოფლიო								●	
2	რა არის კულტურა?	●	●							
3	არსებობენ მეტად ან ნაკლებად კულტურული ადამიანები? არსებობენ ადამიანები, რომელთაც არ გააჩნიათ კულტურა?								●	
4	რატომ არსებობს არა ერთი, არამედ მრავალი კულტურა?				●				●	
5	ჩვენი უახლოესი ბიოლოგიური ნათესავები	●								
6	რა განასხვავებს ადამიანს სხვა ცოცხალი არსებებისაგან?	●	●							
7	აქვთ თუ არა ცხოველებს ისტორია და კულტურა?	●	●							
8	გენეტიკა და კულტურა	●								
9	ბუნებრივი და კულტურული გარემო: ჩვენ რომ სხვაგან ან სხვა დროს გვეცხოვრა	●	●		●					
10	სიცოცხლის უზრუნველყოფის ფორმები			●	●					

11	საზოგადოება			●						
12	სოციალიზაცია	●		●						
13	იდენტობა	●								
14	ცივილიზაცია								●	
15	მარგინალობა			●						
16	კონტრკულტურა									●
17	სამოსი, რომელმაც მსოფლიო შეცვალა									●
18	სუბკულტურა									●
19	კულტურის უნივერსალიები				●				●	
20	ზღაპარი			●					●	
21	მაგია			●					●	
22	მითი			●	●				●	
23	რელიგია			●	●				●	
24	მკურნალობა და მედიცინა				●				●	
25	სიმბოლო			●					●	
26	ხელოვნება			●						
27	სამართალი			●					●	
28	შრომა, პროფესია და ჰობი			●					●	
29	რეკრეაცია		●						●	
30	თამაში								●	
31	დრო			●			●			
32	ციკლური და სწორხაზოვანი დრო			●		●	●			
33	ენა. ნიშანთა სისტემები			●						●
34	ენის „ტყვეობაში“			●						●
35	არავერბალური კომუნიკაცია			●						
36	კულტურათა დიფუზია				●					●
37	ასიმილაცია				●					●
38	მასობრივი კულტურა			●						●
39	რატომ არის მასკულტურა მასობრივი?									●
40	გლობალიზაცია									●
41	გლობალიზაცია. საფრთხე თუ შესაძლებლობა?									●
42	მასმედია			●						
43	კულტურათაშორისი განსხვავებები								●	
44	კულტურა და გენდერი	●						●		
45	კულტურათა ტიპოლოგია				●			●		

46	*საქართველოს ეთნოგრაფიული მრავალფეროვნება*				●					
47	*საქართველოს კულტურული მრავალფეროვნება*								●	
48	*კულტურული შოკი*								●	
49	*სტერეოტიპი*								●	●
50	*კულტურათაშორისი ურთიერთობის ბარიერები: რასიზმი და ქსენოფობია*								●	
51	*ისტორიის გაკვეთილები*								●	
52	*ეთნოცენტრიზმი*								●	
53	*ეთნორელატივიზმი*								●	
54	*ინტერკულტურული კომუნიკაცია. ინტერკულტურული დიალოგი*								●	

სასწავლო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შეფასების ნიმუშები

შემაჯამებელი დავალებით მოწმდება შემდეგი უნარები:

- პრობლემის გააზრებისა და მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენის
- ინფორმაციის მოპოვებისა და ორგანიზების
- კომუნიკაციის
- კვლევის
- პრობლემის გადაჭრის
- შემოქმედებითობის
- პოზიციის შემუშავების, კრიტიკისა და დაცვის
- კულტურათაშორისი ურთიერთობების მოდელირების

შემაჯამებელი დავალებების შესაძლო ფორმები:

- ტესტირება
- რეფერატი
- არგუმენტირებული ესე

შეფასების ცხრილების (რუბრიკების) ნიმუშები

პრეზენტაციის რუბრიკა

ამ შემთხვევაში მოსწავლეებს თითოეულ კრიტერიუმში ენიჭება ნული ან ერთი ქულა და საბოლოო ქულის გამოსაყვანად ითვლება მათი ჯამი. მაქსიმალური ჯამი არის ათი ქულა.

კრიტერიუმები	*მოსწავლის სახელი და გვარი*									
მოძიებული ინფორმაციის თემასთან შესაბამისობა	1									
კვლევების/ნაშრომის წარმოჩენის უნარი	1									
შემოქმედებითი უნარი	1									
პრობლემის გადაჭრის გზების შეთავაზება	1									
თემის გასაგებად წარდგენა (ლოგიკური ჯაჭვი)	1									
საუბარი (გამართულობა, ტემბრი)	1									
თვალსაჩინოების გამოყენება	1									
აუდიტორიასთან კონტაქტი	1									
ინფორმაციის ფლობის უნარი (ადეკვატური კითხვა-პასუხი)	0									
დროის ლიმიტის დაცვა	0									
ჯამი	8									

რეფერატის შეფასების რუბრიკა

ამ შემთხვევაში მე-3 და მე-5 კრიტერიუმები ფასდება 0-2 ქულით, ხოლო ყველა დანარჩენი 0 ან 1 ქულით. მაქსიმალური ჯამი არის ათი ქულა.

კრიტერიუმები	*მოსწავლის სახელი და გვარი*									
მიზანი/თეზისი - კვლევის შედეგად გამოთქმული ძირითადი იდეა	1									
რეფერატის ორგანიზება	1									
შინაარსის კორექტულობა, ფაქტობრივი საიმედოობა	2									
ენობრივი გამართულობა	0									
კვლევა	2									
ილუსტრაციები/თვალსაჩინოებები	0									
შეთავაზებული მოსაზრების არგუმენტებითა და მაგალითებით გამყარება	1									
დასკვნები	1									
ჯამი	8									

დისკუსიის რუბრიკა

კონკრეტულ მოსწავლეს თითოეული კრიტერიუმის მიხედვით ენიჭება შესაბამისი ქულა. მიღებული ქულები ჯამდება და იყოფა ექვსზე (გამოითვლება მათი საშუალო არითმეტიკული).

კრიტერიუმები	III დონე (8—10) ქულა	II დონე (5—7) ქულა	I დონე (1—4 ქულა) ქულა
მოსმენა	ყოველთვის უსმენს და თვალყურს ადევნებს ორატორს	ხშირად უსმენს და უყურებს ორატორს	იშვიათად უსმენს და უყურებს ორატორს
საუბარი	მკაფიოდ მეტყველებს და უყურებს მსმენელებს	ძირითადად მეტყველებს გასაგებად და უყურებს მსმენელებს	მეტყველებს არამკაფიოდ, მსმენელებს უჭირთ გაგება
არავერბალური კომუნიკაცია	შეუძლია ეფექტურად აღიქვას და გამოიყენოს არავერბალური კომუნიკაციის ფორმები (თვალით ჟესტებით, გამომეტყველებით, ხმით)	ხშირად შეუძლია დაამყაროს არავერბალური კონტაქტი	იშვიათად იყენებს არავერბალური კომუნიკაციის ფორმებს
მონაწილეობა	ამჟღავნებს ინტერესს დისკუსიის თემისადმი საჭირო კომენტარებითა და აზრის გამოთქმით.	ძირითადად გამოხატავს ინტერესს. კომენტარები და მოსაზრებები ყოველთვის არაა თემასთან დაკავშირებული	მცირე ინტერესი აქვს. არ გამოხატავს ან ვერ უკავშირებს თავის მოსაზრებებს სადისკუსიო თემას
კოოპერაცია	თანამშრომლობს თანაკლასელებთან, შესაძლებლობას აძლევს სხვებს, გამოთქვან საკუთარი აზრი, იცავს დისკუსიის წესებს	ძირითადად თანამშრომლობს თანაკლასელებთან, ზოგჯერ ერთვება სხვის საუბარში, ძირითადად იცავს დისკუსიის წესებს	იშვიათად თანამშრომლობს და იცავს დისკუსიის წესებს
მოსაზრების არგუმენტირება	მოსაზრება ორიგინალურია და გამყარებულია ფაქტებით	მოსაზრებების გასამყარებლად გამოყენებულია სადავო ფაქტები და ცნებები	მოსაზრება მოკლებულია ლოგიკურ კავშირს საკითხთან და არ არის გამყარებული ფაქტებით

პროექტის შეფასების განზოგადებული ცხრილი (რუბრიკა)

მაქსიმალური ჯამური ქულის გაყოფით სამზე მოხდება დაგროვებული ქულების ათქულიან შეფასებაზე გადაყვანა.

კრიტერიუმები	*ელემენტარული* *1 ქულა*	*მისაღები* *2 ქულა*	*ოსტატური* *3 ქულა*
მიზანი	არ არის კარგად გამოკვეთილი, ბუნდოვანია	ხდება ერთ მიზანზე ფოკუსირება	კარგადაა გამოკვეთილი მიზნები, მარტივად აღსაქმელია
ორგანიზება	სუსტად არის ორგანიზებული, იდეებს შორის არ არის ლოგიკური კავშირი, რაც აბნევს მკითხველს/მსმენელს	გააზრებულია თანმიმდევრულობა, ორგანიზების ნიშნებით, ზოგი გადასვლა იდეებს შორის არის მარტივი, ზოგი — გაუგებარი	კარგად ორგანიზებული ფორმატი, ლოგიკური კავშირი იდეებს შორის, ორგანიზება ზრდის პროექტის ეფექტურობას
შინაარსის კორექტულობა	გვხვდება ხშირი შეუსაბამო, მცდარი ინფორმაცია	ძირითადად კორექტულია, ზოგიერთი ინფორმაცია შეუსაბამო ან მცდარია	მთლიანად კორექტული, ფაქტები ზუსტი და მკაფიო
ენობრივი გამართულობა	ენობრივად გაუმართავი, ხშირი შეცდომებით	ენობრივად გამართული, მცირე შეცდომებით	ენობრივად გამართულია, დაცულია პუნქტუაციის წესები

კვლევა	კვლევა არაეფექტურადაა დაგეგმილი, გამოყენებული წყარო არ არის სანდო, ანალიზი ზედაპირულია	კვლევა დაგეგმილია, მაგრამ ჯგუფის პოტენციალი არ არის მთლიანად გამოყენებული, შეზღუდული რაოდენობის წყაროებია გამოყენებული, ანალიზი მისაღებია	კვლევა სწორად არის დაგეგმილი, გამოყენებულია არაერთი წყარო (ავტორიტეტული ნაშრომები და საველე კვლევიდან მოპოვებული მასალები), ანალიზი სიღრმისეულია
თვალსაჩინოებები	თვალსაჩინოებები ხშირად შინაარსთან შეუსაბამოა, ან არ არის ჯგუფის მიერ შექმნილი	თვალსაჩინოებების კავშირი შინაარსთან არის, მაგრამ ერთფეროვანია, გამოიყენება მოძიებული და ჯგუფის მიერ შექმნილი თვალსაჩინოებები	მრავალფეროვანი, შინაარსის შესაბამისი, აკურატულად შესრულებული
შემოქმედებითობა	მცირე შემოქმედებითი ენერგიის დანახარჯი ჯგუფის მხრიდან	ზოგჯერ ჩანს ჯგუფის ორიგინალური აზრები და ეხმარება პროექტის უკეთ წარმოჩენაში	ჩანს ჯგუფის ორიგინალობა, სიახლე და თავისებური ხედვა, რაც პროექტს საინტერესოს ხდის
კავშირი სხვა საგნებთან	არ ჩანს ჯგუფის კომპეტენცია საგნებში, გვხვდება ფაქტები არაზუსტი ინტერპრეტირება	არის მოსაზრებების კავშირი ერთი ან ორი საგნიდან მიღებულ ცოდნასთან	ხდება მთავარი მოსაზრებების დაკავშირება სხვადასხვა საგნიდან მიღებულ ცოდნასთან, რაც მიუთითებს ჯგუფის მრავალმხრივ კომპეტენციაზე
დასკვნები	არ არის ჩამოყალიბებული დასკვნები	დასკვნები კვლევის ადეკვატურია, მაგრამ არ არის მკაფიო	დასკვნებში არის სიახლე და ორიგინალობა, ლოგიკურად დაკავშირებულია კვლევასთან და ჩამოყალიბებულია მკაფიოდ
პრეზენტაცია	ეფექტურად არ არის წარმოჩენილი პროექტის არსი, პრეზენტატორს უჭირს აზრის ჩამოყალიბება და პასუხების გაცემა, არ არის მიზნობრივად გამოყენებული თვალსაჩინოებები	პრეზენტატორი იყენებს თვალსაჩნოებებს, პასუხობს შეკითხვების უმეტესობას	ნათლად ჩამოყალიბებული პროექტის არსი, პრეზენტატორის მკაფიო მეტყველება, აუდიტორიაზე გათვლილი ძირითადი იდეები გაშლილია, იყენებს თვალსაჩინოებებს და პასუხობს ყველა კითხვას

ჯგუფური მუშაობის შეფასების ცხრილი

მოსწავლეებს თითოეული კრიტერიუმის მიხედვით ენიჭებათ ნული ან ერთი ქულა. საბოლოო ქულის გამოსაყვანად ითვლება მათი ჯამი. მაქსიმალური ჯამი არის ათი ქულა.

	მოსწავლის სახელი და გვარი					
	1	2	3	4	5	6
ყველა ჯგუფის წევრს შეაქვს წვლილი დავალების შესრულებაში						
ჯგუფის წევრები უსმენენ ერთმანეთს და იცავენ რიგითობას						
უცვლიან ერთმანეთს იდეებს და ინფორმაციას						
ჯგუფის წევრები მხოლოდ საკითხის ირგვლივ მუშაობენ						
ჯგუფის წევრები კარგად თანამშრომლობენ (არცერთი არ წარმარ-თავს დისკუსიას, აზრის გამოხატვის თანაბარი პირობებია შექმ-ნილი)						
ჯგუფის წევრები მართებულად ართმევენ თავს დავალებას						

ნაშრომის პრეზენტაციისას წარმოაჩენენ ნამუშევრის მთავარ იდეებს						
ართმევენ თავს კრიტიკულ შენიშვნებს						
პრეზენტაციის დროს იცავენ დროის ლიმიტს						
ჯამი						

შემაჯამებელი ნაშრომის შეფასების ცხრილი[1]

შეფასება	1-2 ქულა	3-5 ქულა	6-7 ქულა	8-10 ქულა
1. სათაური	ძალიან ზოგადია	მკაფიოდ არ პასუხობს თემას	კონკრეტულია მცირე ხარვეზებით	კონკრეტულია
2. თეზისი	არ არის ჩამოყალიბებული	არადამაჯერებელია	კარგადაა ჩამოყალიბებული მცირე ხარვეზებით	კარგადაა ჩამოყალიბებული
3. შინაარსი	გაუმართავია	ფაქტები და მაგალითები არასაკმარისი რაოდენობითაა მოცემული	ფაქტები და მაგალითები კარგად ვერ ამყარებენ თეზისში ჩამოყალიბებულ იდეას	ფაქტები და მაგალითები კარგად ვერ ამყარებენ თეზისში ჩამოყალიბებულ იდეას
4. დასკვნა	არ აქვს დასკვნა	დასკვნა არასრულია, არის მხოლოდ თხრობა	დასკვნაში მხოლოდ გამეორებულია თეზისი	დასკვნაში შეჯამებულია თეზისი
5. სამეცნიერო აპარატი	არ აქვს	გაუმართავია	გამართულია მცირე ხარვეზებით	გამართულია
6. ენობრივი გამართულობა	გაუმართავია	არის ენობრივი შეცდომები	გამართულია მცირე ხარვეზებით	გამართულია

არგუმენტირებული ესეს შეფასების ცხრილი[2]

შეფასება	1-2 ქულა	3-5 ქულა	6-7 ქულა	8-10 ქულა
თეზისი	არ არის თეზისი	თეზისი არის ბუნდოვანი	თეზისი კარგადაა ჩამოყალიბებული	თეზისი კარგადაა ჩამოყალიბებული
თეზისის გამყარება არგუმენტებითა და მაგალითებით	არ არის არგუმენტები და მაგალითები	არის ერთი ან ორი არგუმენტი, მაგრამ ისინი არ ამყარებენ თეზისს	არის არგუმენტები, რომლებიც ამყარებენ თეზისს, მაგრამ არ არის მოყვანილი შესაბამისი მაგალითები	თეზისი გამყარებულია არგუმენტებითა და მაგალითებით

[1]მასწავლებელს შეუძლია შეაჯამოს ექვსივე კრიტერიუმში მის მიერ დაწერილი ქულები და მიღებული რიცხვი გაყოს ექვსზე. ამ შემთხვევაში მოსწავლის ნაშრომი ფასდება მიღებული ქულით. ქულის გამოყვანისას მასწავლებელს ასევე შეუძლია რომელიმე კრიტერიუმს (მაგ. მეორე და მესამე კრიტერიუმს) მიანიჭოს მეტი მნიშვნელობა.

[2]მასწავლებელს შეუძლია შეაჯამოსოთხივე კრიტერიუმში მის მიერ დაწერილი ქულები და მიღებული რიცხვი გაყოს ოთხზე. ამ შემთხვევაში მოსწავლის ნაშრომი ფასდება მიღებული რიცხვით.

მასწავლებელს ნიშნის გამოყვანისას ასევე შეუძლია რომელიმე კრიტერიუმს ან კრიტერიუმებს (მაგ. პირველ, მეორე და მესამე კრიტერიუმს) მიანიჭოს მეტი მნიშვნელობა.

საწინააღმდეგო მოსაზრების განხილვა	არ არის ნახსენები არც ერთი საწინააღმდეგო მოსაზრება	ნახსენებია საწინააღმდეგო მოსაზრება, მაგრამ არ არის ახსნილი	განხილულია საწინააღმდეგო მოსაზრების არსებობის მიზეზები, მაგრამ არ არის ახსნილი, თუ რატომ არის სწორი საკუთარი შეხედულება	საწინააღმდეგო მოსაზრების მიზეზები ამომწურავად არის განხილული. ახსნილია, თუ რატომ არის საკუთარი შეხედულება სწორი.
თემის ორგანიზება	თემა არ არის ორგანიზებული	თემა ორგანიზებულია, მაგრამ ხანდახან სცილდება საკითხს, ხანდახან აბზაცები არ არის გამოყოფილი	თემას აქვს ერთმანეთისგან მკაფიოდ გამიჯნული შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა. აბზაცები, როგორც წესი, გამოყოფილია	თემა კარგად არის ორგანიზებული; შესავალი აღძრავს მკითხველის ინტერესს, შესავალშივე გადმოცემულია თეზისი, აქვს ძირითადი ნაწილი, რომელშიც აბზაცები კარგად არის გამოყოფილი; აქვს დასკვნა, რომელშიც შეჯამებულია თემის ძირითად ნაწილში განხილული არგუმენტები

განმავითარებელი შეფასების ნიმუში პრეზენტაციისათვის

დავალების მიზნის გაცნობიერება და მომზადებული მასალის პირობასთან შესაბამისობა	მიზანი არ აქვს გააზრებული. მასალა შეუსაბამოა და მწირია	მიზანი არასრულყოფილად აქვს გააზრებული. შედარებით მწირი და არასაკმარისი მასალა აქვს მომზადებული	მიზანი გაცნობიერებული აქვს. მასალა კარგად აქვს მომზადებული და სათანადოდ იყენებს	მიზანი კარგად აქვს გაცნობიერებული. მომზადებული აქვს ორიგინალური და მრავალფეროვანი მასალა
კომუნიკაციური უნარ-ჩვევები	ვერ ამყარებს კავშირს აუდიტორიასთან	უჭირს აუდიტორიასთან კავშირის დამყარება - მიჯაჭვულია წინასწარ მომზადებულ ტექსტზე. საუბრობს არათანმიმდევრულად და უინტერესოდ	არ უჭირს აუდიტორიასთან ურთიერთობა. საუბრობს გარკვევით და თანმიმდევრულად. იყენებს წინასწარ მომზადებულ ჩანაწერს	აუდიტორიას თავდაჯერებულად მიმართავს. პერიოდულად იყენებს წინასწარ მომზადებულ მოკლე ჩანაწერს. ამყარებს თვალით კონტაქტს, ხმა და ინტონაცია დამაჯერებელია, წარმოთქმა - კარგი
ვიზუალური მასალისა და ტექნიკური საშუალებების გამოყენების უნარი	ვიზუალურ მასალას ვერ იყენებს	უჭირს ვიზუალური მასალის შექმნა და გამოყენება	ქმნის სქემებს. იყენებს ვიზუალურ მასალას	ქმნის ორიგინალურ სქემებს და სათანადოდ იყენებს მათ
დროის განაწილებისა და გამოყენების უნარი	ვერ იცავს დროის ლიმიტს	უჭირს დროის განაწილება	ძირითადად იცავს დროის ლიმიტს	იცავს დროის ლიმიტს

გაკვეთილების სცენარები და განმარტებები

1. მრავალფეროვანი მსოფლიო

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ კულტურა არის საზოგადოებებს შორის მსგავსებისა და განსხვავების საფუძველი; ჩამოუყალიბდეს კულტურული მრავალფეროვნების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულება; გაიაზროს, რომ მრავალფეროვან კულტურულ გარემოში წარმატებული ორიენტაციისათვის აუცილებელია კომუნიკაციისა და ტოლერანტობის უნარ-ჩვევების გამომუშავება.

1. მასწავლებელი, მისალმებისა და კეთილი სურვილების გამოხატვის შემდეგ, კლასს მიმართავს შეკითხვით: რატომ აირჩიეთ საგანი "მსოფლიო კულტურა?" როგორ ფიქრობთ, რას შეისწავლის იგი? (3 წუთი);

2. მასწავლებელი ისმენს მოსწავლეთა პასუხებს და მხოლოდ ამის შემდეგ ესაუბრება მათ საგნის მიზნების, ამოცანების, სპეციფიკისა და საჭიროების შესახებ (5 წუთი);

3. მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს გაიხსენონ, სად უმოგზაურიათ და გამოყონ მიღებული შთაბეჭდილებებიდან ყველაზე საგულისხმო ეპიზოდი (5 წუთი);

4. პროექტორის საშუალებით ეწყობა მრავალფეროვანი მსოფლიოს ამსახველი სურათების ჩვენება, რის ფონზეც მასწავლებელი ატარებს მინი-ლექციას „მრავალფეროვანი მსოფლიო" (5 წუთი);

5. თემის კონცეპტუალური აზრის გამოსაკვეთად, მასწავლებელი დაფის ცენტრში კიდებს თვალსაჩინოებას, რომელზეც წერია კულტურის შემდეგი განმარტება: „ყველაზე ფართო აზრით, იმას, რაც ადამიანებს აერთიანებს და, ამავე დროს, განასხვავებს, კულტურა ეწოდება." კულტურის ამ გაგებას უკავშირებს გლობალიზაციის პროცესს და ზოგადად განიხილავს მრავალფეროვანი მსოფლიოს განმასხვავებელ და საერთო ნიშნებს (5 წუთი);

6. ეწყობა საერთო საკლასო მსჯელობა საკითხზე: გლობალური პრობლემების ერთობლივი გადაჭრისას, რატომ უნდა გაითვალისწინონ კულტურათაშორისი განსხვავებები? (5 წუთი);

7. მასწავლებელი აჯამებს გაკვეთილს და მრავალფეროვნებისადმი მოსწავლეთა დამოკიდებულებას არკვევს გაკვეთილში მოცემულ შეკითხვაზე პასუხის გაცემით (ეთანხმები თუ არა მოსაზრებას: „ადამიანს, რომელიც ფლობს მრავალფეროვან კულტურულ გარემოში ორიენტაციისა და კომუნიკაციის უნარ-ჩვევებს, წარმატების მოპოვების მეტი შესაძლებლობა აქვს როგორც საკუთარ სამშობლოში, ასევე მის საზღვრებს გარეთ"? პასუხი დაასაბუთეთ (5 წუთი);

8. მოსწავლეთა შეფასება საკლასო კომპონენტში ჩართულობისა და არგუმენტირებული მსჯელობის მიხედვით (2 წუთი);

9. საკლასო სამუშაო: დაწერეთ ესე: „ჩვენ მრავალფეროვან მსოფლიოში ვცხოვრობთ" (10 წუთი). მასწავლებელი სასწავლო წლის ბოლომდე ინახავს მოსწავლეთა ნამუშევრებს და ბოლო გაკვეთილზე უბრუნდება მათ, იმის შესამოწმებლად, რამდენად შეიცვალა მათი დამოკიდებულება კულტურული მრავალფეროვნებისადმი საგნის შესწავლის შემდეგ.

2. რა არის კულტურა?

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლეებს უნდა გავაცნოთ სიტყვა კულტურის მრავალგვარი გაგება, ვაჩვენოთ, რომ კულტურის ყოვლისმომცველი და ამომწურავი განსაზღვრება არ არსებობს.

1. გაკვეთილის დასაწყისში მასწავლებელი დაფაზე წერს სიტყვას „კულტურა" და მოსწავლეებს სთხოვს განმარტონ, როგორ ესმით ამ ტერმინის მნიშვნელობა. მოსწავლეების პასუხებს მასწავლებელი წერს დაფაზე (5 წუთი);
2. მოსწავლეები აკვირდებიან ტექსტში მოცემულ სურათებს (სასურველია მათი ეკრანზე ჩვენება). მათ უნდა განსაზღვრონ, რომელი გამოსახულება განეკუთვნება კულტურას და რომელი – არა. დაასაბუთონ არჩევანი. ამ აქტივობის მიზანია, რომ მოსწავლეები მივიყვანოთ დასკვნამდე – ყველაფერი, რაც არ არის ბუნება და რაც შექმნილი ან გარდაქმნილია ადამიანის მიერ, არის კულტურა (5 წუთი);
3. მასწავლებელი კლასს აცნობს ე. ტაილორის განსაზღვრებას, ხოლო შემდეგ ეუბნება, რომ კულტურის ცნების უამრავი განმარტება არსებობს, რომელთა ნიმუშებსაც მოსწავლეები ეცნობიან (აქ სასურველია კულტურის განსაზღვრებათა სლაიდ-შოუს ჩვენება). ამის შემდეგ მოსწავლეთა ყურადღებას კვლავ დაფისაკენ მიმართავს და სთხოვს, შეადარონ ეს განსაზღვრებები მათ მიერ გაკვეთილის დასაწყისში გამოთქმულ მოსაზრებებს. აქტივობა ჯამდება ბოლოს დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემით (15 წუთი);
4. ინდივიდუალური წერითი სამუშაო: „შენი აზრით, როგორ შეიძლება დახასიათდეს „კულტურული ადამიანი". რამდენიმე მოსწავლე ნამუშევარს წარადგენს კლასის წინაშე (20 წუთი).

3. არსებობენ მეტად ან ნაკლებად კულტურული ადამიანები? არსებობენ ადამიანები, რომელთაც არ გააჩნიათ კულტურა?

მიზანი: მოსწავლეებმა შეძლონ კულტურის, როგორც საზოგადოებებს შორის მსგავსებისა და განსხვავების საფუძვლის გაცნობიერება; „კულტურის სათვალის" კონცეფციისა და აისბერგის მოდელის გააზრება.

1. მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს გონებრივი იერიშის მეთოდით: რას ნიშნავს „კულტურული" ადამიანი? რას ნიშნავს „უკულტურო"? რას ეფუძნება ჩვენი შეხედულება, როდესაც ვინმეს კულტურულად ან უკულტუროდ ვაფასებთ? (3 წუთი)
2. მოსწავლეები კითხულობენ ამერიკელი ანთროპოლოგის მონათხრობს, მსჯელობენ მის შესახებ (5 წუთი);
3. ჯგუფური მუშაობა: მასწავლებელი კლასს ყოფს 2 ჯგუფად, ჯგუფებს ურიგებს სურათებს: ახალგაზრდა ქალბატონის – პირველ ჯგუფს – და მოხუცი ქალბატონის – მეორე ჯგუფს. შემდეგ უჩვენებს მესამე სურათს (ეს სურათები მოცემულია განყოფილებაში IX. დამატებითი რესურსები. პედაგოგმა ამ აქტივობისათვის წინასწარ უნდა მოამზადოს სურათების ასლები. სასურველია, მესამე სურათი სლაიდის სახით მომზადდეს და პროექტორის მეშვეობით იქნას ნაჩვენები კლასში) და ეკითხება, თუ რას ხედავენ მასზე. მოსალოდნელია სხვადასხვაგვარი პასუხები („მოხუცი ქალი", „ახალგაზრდა ქალბატონი" და ა.შ), რასაც მასწავლებელი ადვილად დაუკავშირებს „კულტურის სათვალის" კონცეფციას (5 წუთი);
4. ქალის სურათებთან დაკავშირებული აქტივობის შემდეგ მასწავლებელი კლასს უხსნის ფ. ბოასის „კულტურის სათვალის" კონცეფციას, ასევე აისბერგის მოდელს (5 წუთი);
5. მოსწავლეებს ვყოფთ რამდენიმე ჯგუფად და ვთხოვთ, მახასიათებლები მიწოდებული ჩამონათვალიდან მოათავსონ სამიდან რომელიმე ნაწილში: A-ში ისინი, რომლებიც ადვილად გხვდება თვალში, B-ში - შედარებით ძნელად შესამჩნევი, C-ში - რომელთა დანახვა მხოლოდ მაშინ შეგიძლია, თუ კარგად იცნობ კულტურას. მათ შეუძლიათ დაამატონ მახასიათებლები, რომლებიც არ არის დასახელებული ჩამონათვალში.
6. თითოეული ჯგუფიდან ერთ-ერთი წევრი წარმოადგენს A, B და C ნაწილებში მოთავსებულ მახასიათებლებს, დანარჩენი ორი ჯგუფის

წევრები კი ადარებენ თავიანთ ვარიანტს და აკეთებენ კომენტარს.

7. განსახილველად ვიღებთ რომელიმე კულტურას, რომელსაც ჯგუფ(ებ)ის წევრები მეტ-ნაკლებად იცნობენ. თითოეული ჯგუფის წევრებმა უნდა დაასახელონ და ჩაწერონ თითო ნაწილში, სულ მცირე, ორ-ორი მახასიათებელი, რომლებიც, მათი აზრით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ კულტურისათვის.

8. თითო წევრი თითოეული ჯგუფიდან წარმოადგენს ჯგუფის მუშაობის შედეგს, რასაც მოყვება დისკუსია (20 წუთი).

პასუხის ნიმუში ჯგუფური დავალებისათვის

თავაზიანობა, ზრდილობა ❑ B	სტუმართმოყვარეობა ❑ A
საუბრის მანერა ❑ A	მოძრაობის წესებისადმი დამოკიდებულება ❑ A
საჯაროდ გამოხატული ემოცია ❑ A	ოჯახი ❑ C
გენდერული როლები (სოციალური როლების განაწილება ქალსა და მამაკაცს შორის) ❑ B	მისალმება ❑ A
იუმორი ❑ A	პირადი ურთიერთობები ❑ B
მეგობრობა ❑ C	ჟესტები ❑ A
პრესა და სხვა მედია ❑ A	პუნქტუალურობის ხარისხი ❑ A
მნიშვნელობა, რომელიც ენიჭება საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებას ❑ B	სხვის, უცხოსადმი დამოკიდებულება ❑ C
შრომის იარაღი ❑ A	ფოლკლორი ❑ A
არქიტექტურა ❑ A	რელიგია ❑ C
სუფრა ❑ A	დაკრძალვის წესი ❑ A
ქცევის წესები ❑ C	თაობათა შორის დამოკიდებულება ❑ C
მატერიალური კეთილდღეობა ❑ C	კარიერა ❑ B
განათლება ❑ C	დემოკრატია ❑ C
მედიის თავისუფლება ❑ B	ხელოვნება ❑ A

4. რატომ არსებობს არა ერთი, არამედ მრავალი კულტურა?

მიზანი: მოსწავლეებს გავაცნოთ კულტურული მრავალფეროვნების ფაქტორები.

1. მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს გონებრივი იერიშის მეთოდით. მოტივაციის ასამაღლებლად, კარგი იქნება მსოფლიოს კულტურული მრავალფეროვნების ამსახველი სლაიდ-შოუს ჩვენება (5 წუთი);

2. შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, საგაკვეთილო ტექსტს გაეცნონ მეთოდით „ვიცი – მინდა ვიცოდე – ვისწავლე." გრაფაში „ვიცი" იწერება პასუხები სათაურად გამოტანილ კითხვაზე. რის გაგებაც სურთ ამ საკითხზე, წერენ გრაფაში „მინდა ვიცოდე". ტექსტის გაცნობის შემდეგ მოსწავლეები ავსებენ გრაფას „ვისწავლე". სამუშაოს დასრულების შემდეგ მასწავლებელი უბრუნდება გრაფას „მინდა ვიცოდე" და ეკითხება მოსწავლეებს, გასცა თუ არა ტექსტმა პასუხები მათთვის საინტერესო კითხვებს. უპასუხოდ დარჩენილ კითხვებს შეიძლება პასუხი გაეცეს გაკვეთილზევე, ან შინ - მათი საშინაო დავალებად მიცემით, დამატებითი ინფორმაციის მოძიების მიზნით (15 წუთი);

3. გაკვეთილის დასკვნითი ნაწილი ეთმობა დისკუსიას, რომლის დროსაც მოსწავლეებმა უნდა იმსჯელონ გაკვეთილის ბოლოს მოცემულ კითხვებზე. შესაძლებელია მესამე კითხვის საშინაო წერით დავალებად მიცემაც (20 წუთი).

შესაძლო პასუხი პირველ კითხვაზე: ცივი კლიმატის ქვეყნებში ადამიანები უფრო თანასწორნი არიან, რადგან საზოგადოების წევრთა ერთობლივი ძალისხმევა აუცილებელია ცხოვრების მკაცრ პირობებთან გასამკლავებლად (საკვების მოპოვება, სიცივისაგან თავის დაცვა, საცხოვრებელი და ა.შ.).

5. ჩვენი უახლოესი ბიოლოგიური ნათესავები

მიზანი: მოსწავლეებმა ერთმანეთისგან უნდა განასხვაონ ადამიანში გენეტიკური და სოციალურ-კულტურული ფაქტორებით განპირობებული ნიშან-თვისებები.

1. მასწავლებელი ფორმატის ან ფლიპჩარტის ქაღალდზე (და არა დაფაზე, რადგან ეს რესურსი მას დაჭირდება მომდევნო ორ გაკვეთილზეც) ხაზავს ვენის დიაგრამას, რომლის მეშვეობითაც ხდება ადამიანისა და ცხოველის ერთმანეთთან შედარება. დიაგრამა ივსება მოსწავლეთა მიერ გამოთქმული მახასიათებლებით (5-7 წუთი);



2. მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, წაიკითხონ ტექსტი „ნიშანთა სისტემის" გამოყენებით (10 წუთი);
3. ვიდეოს „თვითაღქმა ადამიანის მსგავს მაიმუნებში" ჩვენება და განხილვა (10 წუთი);
4. დისკუსია გაკვეთილის ბოლოს მოცემული დავალების ირგვლივ (10 წუთი);
5. გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი კვლავ უბრუნდება ვენის დიაგრამას და მოსწავლეთა მონაწილეობით დაამატებს იმ მახასიათებლებს, რომელიც მანამდე არ იყო მასზე (5 წუთი).

6. რა განასხვავებს ადამიანს სხვა ცოცხალი არსებებისაგან?

მიზანი: მოსწავლეებმა ერთმანეთისგან უნდა განასხვაონ ადამიანში გენეტიკური და სოციალურ-კულტურული ფაქტორებით განპირობებული ნიშან-თვისებები; გაიაზრონ სიმბოლიზაციის უნარი როგორც ადამიანის სპეციფიკური მახასიათებელი.

1. მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს გონებრივი იერიშის მეთოდით: რა არის სიმბოლო? სიმბოლიკა? სიმბოლიზაცია? პასუხები ჩამოიწერება დაფაზე (5 წუთი);
2. მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, გაიხსენონ, რაც წინა გაკვეთილზე ისწავლეს, რის შემდეგაც გაეცნობიან ტექსტს მეთოდით „ვიცი – მინდა ვიცოდე – ვისწავლე." (10 წუთი);
3. იმართება მსჯელობა გაკვეთილის ბოლოს მოცემული კითხვების ირგვლივ (10 წუთი);
4. მოსწავლეები ჯგუფურად ასრულებენ დავალებას. მასწავლებელი ამ აქტივობას კონკურსის სახეს აძლევს. ჯგუფის ლიდერები კლასის წინაშე წარადგენენ ნამუშევარს, რის შემდეგაც მასწავლებელი და მოსწავლეები სხვადასხვა ნომინაციებში („საუკეთესო ნახატი", „ყველაზე სხარტი", „ყველაზე ორიგინალური" და ა. შ.) გამოავლენენ გამარჯვებულებს (12 წუთი);
5. გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი კვლავ უბრუნდება წინა გაკვეთილზე შექმნილ ვენის დიაგრამას და მოსწავლეთა მონაწილეობით დაამატებს იმ მახასიათებლებს, რომელიც მანამდე არ იყო მასზე (3 წუთი).

7. აქვთ თუ არა ცხოველებს ისტორია და კულტურა?

მიზანი: მოსწავლეები უნდა გაეცნონ ინფორმაციის გადაცემის თავისებურებებს ადამიანებსა და ცხოველებში, გააცნობიერონ, როგორ გარდაქმნის ადამიანი გარემოს და საკუთარ თავს და, შესაბამისად, ქმნის კულტურას.

1. მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს წინა გაკვეთილის გამეორებით (5 წუთი).
2. მასწავლებელი ატარებს მინი-ლექციას, რომელსაც აქვს ინტერაქტიური ფორმა: განსჯითი და მასტიმულირებელი შეკითხვების დასმით, მოსწავლეებს რთავს საუბარში. ინფორმაციის გადაცემის საფეხურებზე საუბრის დროს მასწავლებელს ლექციაში იუმორისტული შტრიხი შეაქვს შეკითხვით: „გამოთქვით ჰიპოთეზა, არსებობს თუ არა ინფორმაციის გადაცემის მეოთხე საფეხური?" (იგულისხმება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გადამცემი დაინტერესებულია შედეგით, მიმღები კი - არა. მაგალითად, მასწავლებელი ხსნის გაკვეთილს, მოსწავლე კი არ უსმენს). შესაძლოა, მასწავლებელმა ლექცია გაამდიდროს სხვა თვალსაჩინო მაგალითების მოყვანით, ან ეს მაგალითები თავად მოსწავლეებმა დაასახელონ (15 წუთი);
3. მასწავლებელი ბავშვებს სთხოვს, წყვილებში შეასრულონ დავალება, რის შემდეგაც იმართება განხილვა და დისკუსია. ამ დროს ხდება ბოლო 3 გაკვეთილის შეჯამებაც (15 წუთი);
4. გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი კვლავ უბრუნდება წინა გაკვეთილებზე დაწყებულ ვენის დიაგრამას და მოსწავლეთა მონაწილეობით დაასრულებს მის შევსებას იმ მახასიათებლებით, რომელიც მანამდე არ იყო მასზე (5 წუთი).

8.გენეტიკა და კულტურა

მიზანი: მოსწავლეებმა უნდა დაინახონ, რომ კულტურა გენეტიკურად არ გადაიცემა; გაიაზრონ, რა ურთიერთკავშირი არსებობს გენეტიკურად განპირობებულ მახასიათებლებსა და კულტურულ წარმოდგენებს შორის.

1. გაკვეთილი იწყება გონებრივი იერიშით:

- რა ნიშნები გადაეცემა ადამიანს გენეტიკური მემკვიდრეობით? რა არ გადაეცემა?
- როგორ ფიქრობთ, გადაეცემა თუ არა მემკვიდრეობით კულტურა?
(5 წუთი);

2. ამის შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს, გაეცნონ გაკვეთილის ტექსტს მეთოდით „ვიცი – მინდა ვიცოდე – ვისწავლე." (15 წუთი);
3. გარკვეული დრო ეთმობა მოსწავლეების მიერ შესრულებული დავალების განხილვას: მასწავლებელი არკვევს, რა იყო მოსწავლეებისათვის ცნობილი საგაკვეთილო თემიდან („ვიცი"), რა გაიგეს ახალი („ვისწავლე"), პასუხობს მათ მიერ დასმულ შეკითხვებს და იძლევა რჩევებს, თუ როგორ გაიღრმავონ ცოდნა სხვადასხვა საკითხში („მინდა ვიცოდე") (10 წუთი);
4. მასწავლებელი კლასს სთხოვს, მოიფიქრონ/გაიხსენონ მხატვრული ნაწარმოებებიდან ან რეალური ცხოვრებიდან იმის დამადასტურებელი მაგალითები, რომ კულტურის ელემენტები გენეტიკურად არ გადაიცემა, რის შემდეგაც აჯამებს გაკვეთილს (5 წუთი);
5. მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს, ტექსტის ბოლო ნაწილში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, იმსჯელონ კავშირზე გენეტიკური მახასიათებლებსა და კულტურაში არსებულ სილამაზის სტანდარტს შორის; მიჰყავს ისინი დასკვნამდე, რომ გარეგნობას განსაზღვრავს გენეტიკური მახასიათებლები, ხოლო სილამაზის სტანდარტს - კულტურა, ამ მახასიათებლებზე დაყრდნობით. ამის შემდეგ აჯამებს გაკვეთილს (10 წუთი).

შეიძლება ვაჩვენოთ ფილმი „მახე მშობლებისათვის" (The Parent Trap), რეჟისორი ნენსი მეიერსი, 1998 წ.

9. ბუნებრივი და კულტურული გარემო: ჩვენ რომ სხვაგან ან სხვა დროს გვეცხოვრა

მიზანი: მოსწავლეებმა უნდა გააცნობიერონ გენეტიკური და კულტურული მემკვიდრეობის ურთიერთგავლენა, აგრეთვე ის, თუ როგორ ასხვაფერებს კულტურის ფარგლებში არსებული წარმოდგენები ადამიანის ფიზიკურ მონაცემებს.

1. გაკვეთილი იწყება გონებრივი იერიშით: მასწავლებელი მოსწავლეებს ეკითხება, თუ რა იციან ადამიანის გარეგნობასა და სხეულზე რაიმე სახის ზემოქმედების შესახებ. როდესაც მოსწავლეები მოიყვანენ მაგალითებს, მასწავლებელი მათ მოუწოდებს, დაფიქრდნენ ამგვარ ზემოქმედებათა მიზეზებზე (5 წუთი);
2. მასწავლებელი კლასს შეახსენებს წინა გაკვეთილის შინაარსს („გენეტიკა და კულტურა"), რის შემდეგაც ესაუბრება სხვადასხვა კულტურაში ადამიანის ანატომიაზე ზემოქმედების დანიშნულებასა და შედეგებზე. შემდეგ მოსწავლეებთან ერთად განიხილავს გაკვეთილში მოცემულ სურათებს (ურიგო არ იქნება, თუ პედაგოგი საგაკვეთილო ტექსტსა და სურათებს გაამდიდრებს მის მიერ მოძიებული სხვა თვალსაჩინო მასალითაც) (15 წუთი);
3. ჯგუფური მუშაობა: მოსწავლეები იყოფიან ჯგუფებად და მუშაობენ გაკვეთილის ბოლოს მოცემულ დავალებაზე (10 წუთი). მუშაობის დასრულების შემდეგ ჯგუფები წარმოადგენენ თავიანთ ნამუშევრებს (10 წუთი);
4. მასწავლებელი აჯამებს გაკვეთილს და მოსწავლეებს აძლევს საშინაო დავალებას: დაწერონ თხზულება ადამიანის ანატომიაზე ზემოქმედების თანამედროვე სახეების (პირსინგი, ტატუ, ბოდიარტი) შესახებ, სადაც უნდა აჩვენონ მისი მიზეზები და შედეგები.

10. სიცოცხლის უზრუნველყოფის ფორმები

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლემ, ანალიზის შედეგად, უნდა გააცნობიეროს, რომ ადამიანთა ნებისმიერი სტაბილური ერთობა გულისხმობს ამ ერთობის მდგრადობის რეგულაციური სისტემების არსებობას; შეადაროს ერთმანეთს განსხვავებული დროისა და კულტურის ხალხთა საბაზისო მოთხოვნების დაკმაყოფილების ფორმები და შეძლოს დასკვნების გამოტანა.

1. გაკვეთილის დასაწყისში მასწავლებელი ამოწმებს საშინაო დავალებას (3 წუთი);
2. რამდენიმე ნამუშევრის პრეზენტაცია (7 წუთი);
3. მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს გაკვეთილის შესავალს, რის შემდეგაც ისინი მსჯელობენ დასმულ შეკითხვაზე (5 წუთი);
4. მოსწავლეების მიერ ტექსტის გაცნობა ნიშანთა სისტემის გამოყენებით (6 წუთი);
5. ტექსტის განხილვა:
   - რა იყო ისეთი, რაც ტექსტის წაკითხვამდე იცოდით?
   - რა გაიგეთ ახალი ტექსტის წაკითხვის შემდეგ?
   - რა იყო ისეთი, რის საპირისპიროც იცოდით?
   - რა შეკითხვები დაგებადათ? (5 წუთი);
6. მოსწავლეები წერილობით სცემენ პასუხს გაკვეთილის ბოლოს დასმულ კითხვას (5 წუთი);
7. რამდენიმე ნამუშევრის გაცნობა (6 წუთი);
8. წყვილებში მუშაობა: მოახდინეთ თქვენ მიერ არჩეული 9 მოთხოვნილების რანჟირება (5 წუთი);
9. გაკვეთილის შეჯამება და საშინაო დავალებების განაწილება (3 წუთი).

11. საზოგადოება

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ ყოველი ადამიანი საზოგადოების ნაწილია, რომ ერთსა და იმავე საზოგადოებაში ადამიანები აყალიბებენ ცხოვრებისა და ურთიერთობების საერთო წესს, რომელსაც კულტურა განსაზღვრავს. ცხოვრებისეული გამოცდილების, ისტორიული და ლიტერატურული ფაქტების გათვალისწინებით, შეძლოს საზოგადოების მახასიათებელი ნიშნების წარმოჩენა და მსჯელობა საზოგადოებისა და პიროვნების ურთიერთობის საკითხებზე.

1. საგაკვეთილო განწყობის პროვოცირების მიზნით, მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს შეკითხვით: „რას ნიშნავს საზოგადოება თითოეული თქვენგანისათვის“? რა ნიშნები ახასიათებს მას“? ერთ-ერთი მოსწავლე დაფაზე ჩამოწერს თანაკლასელთა პასუხებს (4 წუთი);
2. ამის შემდეგ იმართება მინი-დისკუსია თემაზე: „დაკავშირებულია თუ არა ადამიანი საზოგადოების სხვა, თუნდაც მისთვის უცნობ წევრებთან?(5 წუთი);
3. კლასი ინდივიდუალურად მუშაობს ტექსტზე „ვიცი – მინდა ვიცოდე – ვისწავლე.” მეთოდის გამოყენებით (5 წუთი);
4. მასწავლებელი მოსწავლეებს ამზადებს დებატებისთვის. კლასი იყოფა ორ გუნდად: საზოგადოებრივი ცხოვრების დამცველებად და მოწინააღმდეგეებად. ორივე მხარემ თავიანთი აზრების გასამყარებლად უნდა მოიფიქროს არგუმენტები და მაგალითები (3 წუთი);
5. იმართება დებატები. გუნდები სხდებიან ერთმანეთის პირისპირ. შესაძლებელია „კალამი მიკროფონის“ მეთოდის გამოყენება, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება თითოეული მოსწავლის ამ აქტივობაში ჩართვა და რეგლამენტის დაცვა. დებატებისთვის გუნდებს ეთმობა 5-5 წუთი (10 წუთი);
6. მასწავლებელი აჯამებს ჩატარებულ დებატებს. გუნდებს სთხოვს ურთიერთშეფასებას და სარგებლობს თანატოლთა შეფასების სქემით (5 წუთი);
7. გაკვეთილის დარჩენილი დრო ეთმობა ჯგუფურ მუშაობას. ყოველ ჯგუფში ერთიანდება 3-3 მოსწავლე დებატებში დაპირისპირებული გუნდებიდან. მათ ევალებათ შეავსონ T-სქემა — რა დადებითი და უარყოფითი ნიშნები აქვს ცხოვრებას საზოგადოებასთან ერთად და მის გარეშე? გუნდებმა ურთიერთთანამშრომლობისა და მსჯელობის შედეგად უნდა შეძლონ საბოლოო დასკვნების გამოტანა და თავიანთი ნამუშევრების წარდგენა (5 წუთი);
8. თითოეული ჯგუფის წარმომადგენელი სქემის მიხედვით აკეთებს ზეპირ პრეზენტაციას. პრეზენტატორთათვის განკუთვნილია 2 წუთი (6 წუთი);
9. მასწავლებელი აჯამებს გაკვეთილს (2 წუთი).

12. სოციალიზაცია

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლემ უნდა გაიაზროს, რა არის სოციალიზაცია; მოიპოვოს ინფორმაცია სხვადასხვა კულტურაში სოციალიზაციის განსხვავებული მეთოდებისა და ტექნიკის შესახებ. საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე, განიხილოს სხვადასხვა ინსტიტუტისა და ავტორიტეტული პიროვნებების გავლენა სოციალიზაციის პროცესზე.

1. მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს გაკვეთილის მიზანს და აძლევს მათ საშუალებას, დასვან შეკითხვები, რომლებიც წინა გაკვეთილის შესწავლის შემდეგ გაუჩნდათ (3 წუთი);
2. მასწავლებელი პასუხობს მოსწავლეთა შეკითხვებს ან ასახელებს წყაროს, სადაც შეიძლება დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება (4 წუთი);
3. ამის შემდეგ მოსწავლეები კითხულობენ საშინაო დავალებას და ისმენენ მასწავლებლის განმავითარებელ კომენტარს (7 წუთი);
4. მოსწავლეთა მოტივაციის მიზნით, მასწავლებელი დაფაზე ხაზავს წრეს, ყოფს მას სექტორებად და კლასს აძლევს ინდივიდუალურ სამუშაოს (დავალება ნომერი1) (4 წუთი);
5. მოსწავლეები კლასს აცნობენ თავიანთ ვარიანტებს და ადარებენ მას თანაკლასელთა მიერ შესრულებულ დავალებას; მსჯელობენ მსგავსებისა და განსხვავების შესახებ (6 წუთი);

6. მასწავლებელი ამ დავალებას უკავშირებს ასახსნელ თემას და ატარებს მინი-ლექციას სოციალიზაციის შესახებ (7 წუთი);
7. ეწყობა ფილმის - „ათი წუთით უფროსი“ - ჩვენება (7 წუთი);
8. მოსწავლეებმა უნდა გამოიცნონ, ასახავს თუ არა ეს ფილმი სოციალიზაციის პროცესის ერთ მონაკვეთს? რაში გამოიხატება ეს? სოციალიზაციის რომელი აგენტები ჩანს ამ ფილმში? (3 წუთი);
9. გაკვეთილის შეჯამება კითხვებით: რას ვითვისებთ სოციალიზაციის პროცესში? სოციალიზაციის რამდენ ტიპს გამოყოფენ? (2 წუთი);
10. საშინაო დავალება – დაწერეთ ესე: „ოჯახი – უმნიშვნელოვანესი სოციალური აგენტი?“ მოიპოვეთ ინფორმაციები სხვადასხვა კულტურაში სოციალიზაციის მეთოდებისა და ტექნიკის შესახებ (2 წუთი).

13. იდენტობა

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლემ უნდა გაიაზროს, რა არის იდენტობა; დააკავშიროს იგი სოციალიზაციის პროცესთან; მაგალითების საშუალებით გამოიკვლიოს, რა განსაზღვრავს ინდივიდის/ჯგუფის კუთვნილებას კონკრეტულ ერთობასთან.

1. მასწავლებელი კლასს აცნობს გაკვეთილის თემას და მიზანს (1 წუთი);
2. დაფის ცენტრში ხაზავს სქემას და მოსწავლეებს სთხოვს, ინდივიდუალურად შეავსონ იგი (დავალება 2) (4 წუთი);
3. მოსწავლეთა ნამუშევრების გაცნობა და თანაკლასელთა ნამუშევრებთან შედარება (5 წუთი);
4. მასწავლებელი კითხვა-პასუხის რეჟიმში გამოიკითხავს „სოციალიზაციას“ და უკავშირებს მას იდენტობას (5 წუთი);
5. მინი-ლექცია იდენტობასთან დაკავშირებით (5 წუთი);
6. იდენტობის განსაზღვრებათა გაცნობა და გაანალიზება (5 წუთი);
7. სახალისო ინფორმაციის წაკითხვა და მსჯელობა პერსონაჟის იდენტობის შესახებ (4 წუთი);
8. წყვილებში მუშაობა: როგორ აუხსნიდით უცხოელს, ვინ არის ქართველი? პასუხი გამოსახეთ სქემით – ლოგიკური ჯაჭვის სახით (5 წუთი);
9. რამდენიმე ნამუშევრის კლასის წინაშე წარდგენა და შეფასება (5 წუთი);
10. გაკვეთილის შეჯამება კითხვების საშუალებით: ა) რა განსაზღვრავს კულტურულ იდენტობას? (ენა, რელიგია, ისტორია, ტერიტორია...); ბ) იდენტობის რომელი განსაზღვრება დაგამახსოვრდათ? (5 წუთი);
11. საშინაო დავალება: მოძებნეთ 5 ახალგაზრდული ჯგუფის სურათი, მაგალითად, პანკების, რეპერების, ჰიპების, სქინჰედების და ა.შ. თითოეული სურათი აღწერეთ და ახსენით, როგორ აღიქვამენ ისინი საკუთარ თავს და როგორ გამოხატავენ საკუთარ კუთვნებულებას კონკრეტული ჯგუფისადმი (1 წუთი).

14. ცივილიზაცია

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლემ უნდა გაიაზროს ცივილიზაციის ორგვარი გაგება; დაუკავშიროს იგი იდენტობას; მაგალითების განხილვის შემდეგ, უნდა შეძლოს იმ ნიშნების განსაზღვრა, რომლებითაც კულტურები ამა თუ იმ ცივილიზაციას მიეკუთვნებიან; იმსჯელოს თანამედროვე კონფლიქტების კულტურულ-ცივილიზაციურ საფუძვლებზე.

1. მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს წინა მასალის გამოკითხვით და მოსწავლეებს აფასებს საშინაო დავალების კომპონენტში (8 წუთი);
2. დაფაზე წერს სიტყვას ცივილიზაცია და მოსწავლეთა პასუხების მიხედვით ადგენს ასოციაციურ სქემას (2 წუთი);
3. წყვილებში მუშაობა: რომაელი მოქალაქის მაგალითზე, მოსწავლეებმა უნდა წარმოადგინონ იდენტობის დონეები წრეების სახით და გამოიკვლიონ იდენტობის ყველაზე ფართო დონე (4 წუთი);
4. ნამუშევრების განხილვა და გაკვეთილში მოცემულ ნიმუშთან შედარება (4 წუთი);

5. მასწავლებლის მინი-ლექცია ცივილიზაციის ორგვარი გაგების შესახებ (6 წუთი);
6. საკლასო სამუშაო - მოსწავლეებმა უნდა ჩამოთვალონ ის ნიშნები, რომლითაც კულტურები ამა თუ იმ ცივილიზაციას მიეკუთვნებიან (5 წუთი);
7. მინი-დისკუსია: გაიხსენეთ ცივი ომის შემდგომ პერიოდში მომხდარი ან მიმდინარე კონფლიქტები და იმსჯელეთ მათ კულტურულ-ცივილიზაციურ საფუძვლებზე. მოიფიქრეთ ამ კონფლიქტების მოგვარების გზები (10 წუთი);
8. დისკუსიის შეჯამება და მასწავლებლის კომენტარები (4 წუთი);
9. საშინაო დავალება: გაკვეთილში მოცემულია სურათი, რომელიც ასახავს „პრიმიტიული“ საზოგადოებების ცხოვრებას. წარმოიდგინეთ, რომ ხართ მე-19 საუკუნის ევროპელი პოლიტიკოსი, მისიონერი ან მკვლევარი. რის შეცვლას განიზრახავდით ამ საზოგადოებების ცხოვრებაში, რატომ და როგორ? (2 წუთი).

15. მარგინალობა

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლემ უნდა გამოიკვლიოს კულტურათა ცვალებადობის მაგალითები; იმსჯელოს იმაზე, რომ მის დინამიკას შიდა და გარე ფაქტორების ერთობლიობა განაპირობებს; გაიაზროს ტერმინ „მარგინალობის“ მნიშვნელობა. კონკრეტული მაგალითების მოძიებით განსაზღვროს მარგინალობის წარმოშობის მიზეზები და მარგინალთა ცხოვრების წესი.

1. მასწავლებელი დაფაზე წერს სიტყვას „მარგინალი“ და იკვლევს, რა იციან მოსწავლეებმა ამ ტერმინის შესახებ (3 წუთი);
2. ახალი მასალის უკეთ გააზრების მიზნით, მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს გაიხსენონ აკაკი წერეთლის ცნობილი ლექსი „ღამურა“ და შემდეგ თავად კითხულობს მას (5 წუთი);
3. მინი-ლექცია მარგინალობის შესახებ (8 წუთი);
4. ლექციის შემდეგ მასწავლებელი კლასს ამზადებს დისკუსიისათვის — „ვის მივიჩნევ მარგინალად და რატომ?'' თავდაპირველად საკითხი განიხილება წყვილებში, შემდეგ იგი გადაიზრდება საერთო საკლასო დისკუსიაში (10 წუთი);
5. დისკუსიის შეჯამება და დასკვნების გამოტანა. დისკუსიის შეფასების სქემის გამოყენება (5 წუთი);
6. მოსწავლეებს ეძლევათ დრო დამოუკიდებელი სამუშაოსათვის. მათ უნდა დაწერონ მცირე ესე: „მარგინალობა და მისი დაძლევის გზები“. ნამუშევრებს მასწავლებელი შინ ამოწმებს (10 წუთი);
7. გაკვეთილის შეჯამება (4 წუთი).

16. კონტრკულტურა

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლემ უნდა გაიაზროს კონტრკულტურის ცნების არსი, განიხილოს მისი მახასიათებლები; გაიაზროს კონტრკულტურა როგორც კულტურის ცვლილების ერთ-ერთი შესაძლო გზა; მოიპოვოს ინფორმაციები კონტრკულტურული ჯგუფებისა და მათი წარმომადგენლების შესახებ.

1. შესრულებული დავალებების პრეზენტაცია. მოსწავლეები კითხულობენ საშინაო დავალებას, იყენებენ ურთიერთშეფასებისა და თვითშეფასების ფორმებს. მასწავლებლის კომენტარის შემდეგ ინიშნავენ, რა უნდა გაითვალისწინონ მომავალი პრეზენტაციისთვის (8 წუთი);
2. მოსწავლეთა მოტივაციის და ჩართულობის გაზრდის მიზნით, მასწავლებელი აცნობს მათ გაკვეთილის თემას და მიმართავს შეკითხვით: გსმენიათ თუ არა კონტრკულტურის შესახებ და რას ელით დღევანდელი გაკვეთილისგან? ერთ-ერთი მოსწავლე დაფაზე ჩამოწერს მოსწავლეთა მოლოდინებს (მაგალითად, ველით: ახალ ინფორმაციას, საინტერესო ისტორიებს, ახალ ტერმინებისა და მათი მნიშვნელობების გაგებას, ვიზუალურ მასალას და ა.შ) (4 წუთი);

3. კლასი მსჯელობს გაკვეთილის დასაწყისში დასმულ შეკითხვაზე (3 წუთი);
4. ამის შემდეგ მასწავლებელი ატარებს მინი-ლექციას კონტრკულტურის შესახებ (სასურველია დამატებითი ინფორმაციისა და ვიზუალური მასალების გამოყენება) (12 წუთი);
5. მოსწავლეებს ეძლევათ წყვილებში სამუშაო: გაიხსენეთ მაგალითები, როდესაც ერთ დროს საზოგადოებისათვის მიუღებელი ქცევა, ჩაცმულობა და შეხედულებები შემდგომში მისი კულტურის ნაწილი გახდა (3 წუთი);
6. მოსწავლეთა პასუხების მოსმენა-შეფასება (6 წუთი);
7. გაკვეთილის შეჯამება. მასწავლებელი მოსწავლეებს მიმართავს შეკითხვით - გაამართლა თუ არა გაკვეთილმა თქვენი მოლოდინი? რა იყო ახალი, რომელი ტერმინი და მისი მნიშვნელობა ისწავლეთ, კონტრკულტურის რომელ მახასიათებელს გაიხსენებდით და ა.შ. (7 წუთი);
8. მასწავლებელი კლასს შინ მოსამზადებლად აძლევს დავალებას: მოიძიონ ინფორმაცია და ფოტომასალა კონტრკულტურული მუსიკის, პოეზიის, ჯგუფებისა და მათი წარმომადგენლების შესახებ (2 წუთი).

17. სამოსი, რომელმაც მსოფლიო შეცვალა

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლემ უნდა განიხილოს კულტურის გავლენა კაცობრიობის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, ადამიანის ბიოლოგიური, სოციალური და პიროვნული მოთხოვნილებების ფორმების გათვალისწინებით; გაეცნოს ჯინსის წარმოშობის ისტორიას; გამოკითხვის საშუალებით დაადგინოს ჯინსის მომხმარებელთა რაოდენობა და ასაკობრივი
სტრუქტურა; შეძლოს ამ საკითხთან დაკავშირებით ესეს შექმნა; ჩაერთოს დისკუსიაში.

1. მასწავლებელი მოსწავლეებს მიმართავს შეკითხვით: დაასახელეთ სამოსი, რომელმაც მსოფლიო შეცვალა? რა იცით მის შესახებ? (2 წუთი);
2. მოსწავლეები ადგენენ ცხრილს ვიცი - მინდა გავიგო - რა გავიგე და ავსებენ პირველ ორ გრაფას (4 წუთი);
3. მოსწავლეები კითხულობენ გაკვეთილის ტექსტს და ავსებენ მესამე გრაფას (5 წუთი);
4. ეწყობა ცხრილების გაცნობა და წაკითხულის მიმოხილვა კითხვა-პასუხის რეჟიმში (5 წუთი);
5. მოსწავლეებს ეძლევათ დრო დამოუკიდებელი სამუშაოსთვის: უნდა დაწერონ ესე „რას ნიშნავს ჯინსი ჩემი თაობისთვის?“ (10 წუთი);
6. რამდენიმე ნამუშევრის გაცნობა და განმავითარებელი შეფასების გამოყენება (6 წუთი);
7. მასწავლებელი კლასს ამზადებს დისკუსიისთვის და სვამს კითხვას: ფართო მოხმარების ნაწარმიდან (არ იგულისხმება მხოლოდ ტანსაცმელი) თუ შეიძლება კიდევ რომელიმეზე ითქვას, რომ მან „მსოფლიო შეცვალა“? დისკუსიისთვის მასწავლებელი იყენებს წინასწარ შედგენილ კითხვარებს, რომელიც ჩამოწერილია დიდ ფორმატზე:

- რა გაძლევთ ასეთი დასკვნის გამოტანის საფუძველს ?
- რა მოხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ მსოფლიო მის გარეშე დარჩებოდა?
- როგორ გავლენას იქონიებს იგი მომავალ თაობებზე ? (8 წუთი);

8. მოსწავლეებთან ერთად დისკუსიის შეჯამება (4 წუთი);
9. საშინაო დავალების პირობის გაცნობა და მითითებების მიცემა (1 წუთი).

ეს დავალება შეიძლება მომზადდეს პროექტის სახით.

18. სუბკულტურა

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლემ უნდა გაიაზროს სუბკულტურის ცნების არსი; ჯგუფებში განიხილოს ამ ცნების მახასიათებლების ჩამონათვალი, შეადგინოს შესაბამისი კლასიფიკაცია, შეადაროს იგი კონტრკულტურას.

1. მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს გაკვეთილის თემას და მიზანს (2 წუთი);
2. მოსწავლეები წარმოადგენენ გამოკვლევას ჯინსის მომხმარებელთა რაოდენობისა და ასაკობრივი სტრუქტურის შესახებ. შეფასების სქემის გამოყენება და მასწავლებლის განმავითარებელი კომენტარი (6 წუთი);
3. საკლასო სამუშაო: გამოკვლევების შედეგად ერთობლივად ადგენენ დიაგრამას, რომელსაც ხაზავენ დიდ ფორმატზე (4 წუთი);
4. გონებრივი იერიშის მეთოდის გამოყენებით მასწავლებელი ადგენს, რა იციან მოსწავლეებმა სუბკულტურის შესახებ. მოსწავლეები გამოთქვამენ თავიანთ შეხედულებებს და მოჰყავთ მაგალითები. მასწავლებელი იყენებს აქტიური მოსმენის სტრატეგიას (5 წუთი);
5. ამის შემდეგ მასწავლებელი ატარებს მინილექციას სუბკულტურის შესახებ (6 წუთი);
6. მასწავლებლის მიერ მოძიებული ვიზუალური მასალებისა და გაკვეთილში მოცემული ფოტოების დათვალიერება და მსჯელობა (4 წუთი);
7. წყვილებში მუშაობა: შეადგინონ ვენის დიაგრამა და შეადარონ ერთმანეთს კონტრკულტურა და სუბკულტურა (5 წუთი);
8. მოსწავლეები ეცნობიან დამატებით ინფორმაციას და გამოთქვამენ საკუთარ შეხედულებებს, იხსენებენ მსგავს ისტორიებს (6 წუთი);
9. მასწავლებელი აჯამებს გაკვეთილს და სვამს კითხვას: დაასახელეთ ჯგუფები, რომლებიც, თქვენი აზრით, სუბკულტურად ჩაითვლება და დაასაბუთეთ თქვენი პასუხი. მოსწავლეთა პასუხების მოსმენა და საკლასო კომპონენტში შეფასება (6 წუთი);
10. საშინაო დავალება: მოიძიეთ ინფორმაცია ქართველი კათოლიკეებისა და მუსლიმების შესახებ და იმსჯელეთ მათ თავისებურებებზე. შესრულებულ დავალებას დაურთეთ შესაბამისი ვიზუალური მასალა (1 წუთი).

19. კულტურის უნივერსალიები

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლემ უნდა გაიაზროს კულტურის უნივერსალიის ცნების არსი; ჯგუფში ან ინდივიდუალურად დაადგინოს ნებისმიერი კულტურისათვის დამახასიათებელი უნივერსალიების ჩამონათვალი; ამ ჩამონათვლიდან აირჩიოს რამდენიმე და განიხილოს მათი კონკრეტული ფორმები სხვადასხვა კულტურაში.

1. მასწავლებელი გაკვეთილის დასაწყისში დაფაზე წერს სიტყვას უნივერსალია და მოსწავლეებს სთხოვს, ახსნან მისი მნიშვნელობა (2 წუთი);
2. მოსწავლეები კითხულობენ სიტყვის მნიშვნელობის საკუთარ ვერსიებს. ბოლოს მასწავლებელი გამოკვეთს რამდენიმე სწორ პასუხს და თავად განმარტავს უნივერსალიის მნიშვნელობას (3 წუთი);
3. შემდეგი შეკითხვა ასეთია: გითამაშიათ თუ არა სტრატეგიული კომპიუტერული თამაშები და რა საერთო ნიშანი აქვთ მათ? რა არის გამარჯვების აუცილებელი პირობა? მოსწავლეთა პასუხების მიხედვით მასწავლებელი უახლოვდება განსახილველ თემას და ატარებს მინი-ლექციას (10 წუთი);
4. ლექციის შემდეგ, სასურველია, სლაიდ-შოუს საშუალებით ვაჩვენოთ უნივერსალიების ამსახველი ფოტოები და გავმართოთ მსჯელობა მათ მსგავსება-განსხვავებაზე (6 წუთი);
5. წყვილებში მუშაობა: შეადგინეთ საზოგადოებრივი ინსტიტუტების ჩამონათვალი ორ სვეტად: ერთ სვეტში დააჯგუფეთ უნივერსალური ინსტიტუტები, მეორეში კი - ერთი ან რამდენიმე კულტურისათვის დამახასიათებელი ნიშნები (5 წუთი);
6. შეჯერებულ ვერსიას მასწავლებელი მოსწავლეთა კარნახით წერს დაფაზე (3 წუთი);
7. ჯგუფური მუშაობა: თითოეული ჯგუფი ირჩევს უნივერსალიას რომელიმე მისთვის

ცნობილი კულტურიდან (სუფრა, ნადირობა, ქორწილი, თამაში და ა.შ.), ჩამოწერს მის დამახასიათებელ ნიშნებს, ავლებს პარალელს ქართულ საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან და ნამუშევარს წარმოადგენს სააზროვნო სქემის სახით (სასურველია, მასწავლებელმა კლასს შეახსენოს სააზროვნო სქემების მოდელები) (8 წუთი);

8. ნამუშევრების წარდგენა-შეფასება (7 წუთი);
9. საშინაო დავალება: მოსწავლეებმა დაწერონ არგუმენტირებული ესე: როგორ ფიქრობთ, არის თუ არა იავნანა კულტურის უნივერსალია? მოიძიეთ სხვადასხვა ხალხის იავნანა და იმსჯელეთ, ერთი და იმავე ფუნქციის გარდა, აქვთ თუ არა მათ რაიმე საერთო? (1 წუთი).

20.ზღაპარი

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლემ ზღაპარი უნდა განიხილოს, როგორც კულტურული უნივერსალია, გამოკვეთოს მისი საერთო მახასიათებლები; სხვადასხვა კულტურის ხალხთა ზღაპრების შედარების საფუძველზე, იმსჯელოს მათი მსგავსებისა და განსხვავების შესახებ.

1. მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს ასახსნელი მასალის სწავლების მიზანს (2 წუთი);
2. წინა გაკვეთილზე მიღებულ ცოდნას ამოწმებს კითხვების საშუალებით (5 წუთი);
3. ჩართულობის გაზრდის და შემოქმედებითი აზროვნების განვითარების მიზნით, წყვილებს აძლევს დავალებას: შექმნან მცირე მოცულობის ზღაპარი, რომელშიც გამოიყენებენ ნაცნობ სიუჟეტებს, ზღაპრისთვის დამახასიათებელ ფანტასტიკურ ელემენტებს, გაითვალისწინებენ ამ ჟანრისთვის დამახასიათებელ თხრობის სტილს და თავისებურებებს (შექმნან საკუთარი ვერსიები ან გააკეთონ ცნობილი ზღაპრების ინტერპრეტაციები, შესაძლებელია დაურთონ ილუსტრაციები) (12 წუთი);
4. რამდენიმე ნამუშევრის გაცნობა და მოსწავლეების მიერ საუკეთესო ვარიანტის დასახელება (8 წუთი);
5. მოსწავლეები ეცნობიან საგაკვეთილო მასალას და ორი-სამი წინადადებით აკეთებენ ჩანაწერს: სამი რამ, რამაც დამაინტერესა, ორი რამ, რაზეც მეტი მინდა გავიგო, ერთი რამ, რის შესახებაც დავწერ დავალებას (5 წუთი);
6. ეწყობა ჯგუფური მუშაობა-შეჯიბრი: 5 წუთის განმავლობაში ჯგუფებმა უნდა ჩამოწერონ რაც შეიძლება მეტი ზღაპრის სათაური, მათი გმირები და ავტორები (5 წუთი);
7. ჯგუფური ნამუშევრის კლასის წინაშე წარდგენა და გამარჯვებული გუნდის გამოვლენა (5 წუთი);
8. მასწავლებლის შემაჯამებელი სიტყვა და დავალების მიცემა: მოიძიეთ ქართული ხალხური და თანამედროვე ზღაპრების თითო ნიმუში. იმსჯელეთ, როგორ ასახავს ისინი საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან საკითხებს (3 წუთი).

21. მაგია

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლემ უნდა გამოიკვლიოს, რას უკავშირდება მაგიის, როგორც კულტურის უნივერსალიის წარმოშობა; ჯგუფში ან ინდივიდუალურად განიხილოს მისი კონკრეტული ფორმები სხვადასხვა კულტურაში.

1. საშინაო დავალების შემოწმება (6 წუთი);
2. გონებრივი იერიში: როგორ განმარტავდით მაგიას და რას დაუკავშირებდით მის წარმოშობას? (4 წუთი);
3. მასწავლებელი ისმენს მოსწავლეთა პასუხებს და შემდეგ თავად განმარტავს მაგიის მნიშვნელობას (5 წუთი);
4. ინდივიდუალური მუშაობა: მოსწავლეების მიერ გაკვეთილის გაცნობა და იმ საკითხების ჩანიშვნა, რომლებიც მათთვის საინტერესოა (8 წუთი);
5. წყვილებში მუშაობა: გაიხსენეთ თქვენთვის ცნობილი სხვადასხვა ცრურწმენა (გაგონილი, ნანახი ან წიგნში წაკითხული), უცნაური ჩვეულებები და ქმედებები. სცადეთ, დააკავშიროთ ისინი მაგიასთან და ახსნათ მათი თავდაპირველი არსი. მაგალითად, დამოკიდებულება 7 და 13-სადმი: ზოგ სასტუმროში არ არსებობს ოთახი №13, ავტომრბოლელებს

გარკვეული ცრურწმენები აქვთ 13 ნომერთან დაკავშირებით, საქართველოში ავტომობილის ნომრად იშვიათად შეგვხვდება 13 და ა.შ. (8 წუთი);

6. მასწავლებლის მიერ პრეზენტატორის დასახელება და ნამუშევრების გაცნობა (8 წუთი);
7. თანატოლთა შეფასებები (5 წუთი);
8. საშინაო დავალება: მოიძიეთ ინფორმაცია სხვადასხვა კულტურაში მაგიის ფორმების შესახებ (1 წუთი).

22. მითი

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლემ მითი უნდა განიხილოს როგორც კულტურის უნივერსალია, დაადგინოს მისი მახასიათებლები, შეადაროს ზღაპარს და იმსჯელოს მსგავსება-განსხვავებაზე, განსაზღვროს მითის გავლენა თანამედროვე კულტურასა და ცხოვრებაზე.

1. გაკვეთილი იწყება გონებრივი იერიშის მეთოდით: რა არის მითი? და რა იცით მის შესახებ? მასწავლებელი ისმენს მოსწავლეთა პასუხებს და ადგენს მათ ცოდნას ამ საკითხთან დაკავშირებით (4 წუთი);
2. მინი-ლექცია: მასწავლებელი მოსწავლეებს ესაუბრება მითების გეოგრაფიის, ტიპებისა და მახასიათებლების შესახებ (7 წუთი);
3. კვლევითი უნარის განვითარების მიზნით, მასწავლებელი სვამს შეკითხვას: ჩაითვლება თუ არა მითი უნივერსალიად? კლასს ყოფს სამ ნაწილად, არიგებს ტექსტებს, რომლებშიც მოცემულია ინდური, ისლანდიური და ჩინური მითები პირველკაცის შესახებ. თითოეულმა ჯგუფმა უნდა განსაზღვროს სამუშაო ტექსტის მთავარი სათქმელი და უპასუხოს კითხვებს: ვინ? სად? როდის? რატომ? (6 წუთი);
4. ამის შემდეგ ეწყობა პრეზენტაციები. მოსწავლეები მიდიან დასკვნამდე, რომ მითი უნივერსალიაა. ტექსტების დაკვირვების შედეგად აღმოაჩენენ, რომ სხვადასხვა კულტურაში ერთსა და იმავე მოვლენას განსხვავებული ახსნა აქვს (8 წუთი);
5. მოსწავლეები ათვალიერებენ გაკვეთილში მოცემულ სურათებს და იხსენებენ, რა იციან ნახატებზე გამოსახულ პერსონაჟებთან დაკავშირებულ მითებზე. მსჯელობენ, თუ რა გავლენას ახდენს მითი თანამედროვე კულტურასა და ყოფა-ცხოვრებაზე (7 წუთი);
6. წყვილებში მუშაობა: მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, გაიხსენონ ზღაპართან დაკავშირებული გაკვეთილი და ვენის დიაგრამის გამოყენებით შეადარონ ერთმანეთს მითი და ზღაპარი (5 წუთი);
7. შესრულებული დავალებების განხილვა (4 წუთი);
8. გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი არიგებს ბარათებს და მოსწავლეებს სთხოვს, მოკლედ დაწერონ: „რა დამამახსოვრდება კლასის დატოვების შემდეგ?“ (3 წუთი);
9. საშინაო დავალება: მოიძიეთ სხვადასხვა ხალხთა მითები სამყაროს შექმნის შესახებ და შეადარეთ ისინი ერთმანეთს.
10. შეასრულეთ ნახატი, აპლიკაცია, პოსტერი ან მხატვრული ჩანახატი მითოსურ თემატიკაზე (მითიური გმირი, საინტერესო ეპიზოდი და სხვ.) (1 წუთი).

23. რელიგია

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლემ რელიგია უნდა განიხილოს როგორც კულტურული უნივერსალია; იმსჯელოს რელიგიის, მაგიისა და მითოსის ურთიერთმიმართების შესახებ; გაიაზროს ტერმინები: ტოტემიზმი, ფეტიშიზმი, ანიმიზმი. შეძლოს კულტურათა დაჯგუფება რელიგიის მიხედვით.

1. გაკვეთილი იწყება საშინაო დავალებების შემოწმება-შეფასებით (8 წუთი);
2. მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს ახალი გაკვეთილის თემას და ესაუბრება შესასწავლი საკითხების ცოდნის აუცილებლობაზე (3 წუთი);
3. მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, ჩამოაყალიბონ რელიგიის განმარტება. იგი ღებულობს ყველა პასუხს და საბოლოო ვარიანტს დაფაზე წერს (5 წუთი);
4. მოსწავლეები გაკვეთილს ეცნობიან ნიშანთა სისტემის გამოყენებით და სვამენ კითხვებს, რომლებიც ტექსტის წაკითხვისას გაუჩნდათ (9 წუთი);
5. მასწავლებელი პასუხობს შეკითხვებს ანდა მიუთითებს იმ ლიტერატურასა თუ საინფორმაციო წყაროს, სადაც სრულყოფილი პასუხის მიღებაა შესაძლებელი (6 წუთი);
6. ეწყობა დისკუსია თემაზე: „არის თუ არა ადამიანთა ურთიერთობების განმსაზღვრელი რელიგიური ნიშანი?“ მოსწავლეებმა შეიძლება აზრის უარსაყოფად ან დასასაბუთებლად გამოიყენონ მაგალითები ისტორიიდან, ლიტერატურიდან, კინოფილმებიდან, საკუთარი გამოცდილებიდან (9 წუთი);
7. მასწავლებელი აჯამებს დისკუსიას და კლასი მიჰყავს იმ დასკვნამდე, რომ დღევანდელ გლობალურ მსოფლიოში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება განსხვავებულ რელიგიათა თანაარსებობას, ტოლერანტობასა და ურთიერთგაგებას (4 წუთი);
8. საშინაო დავალება: იმსჯელეთ რელიგიის, მაგიისა და მითოსის ურთიერთმიმართების შესახებ. მოიპოვეთ ინფორმაცია თქვენთვის საინტერესო რელიგიის შესახებ (1 წუთი).

24.1 მკურნალობა და მედიცინა

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლემ უნდა გაიაზროს, რასთან არის დაკავშირებული მკურნალობა-მედიცინის წარმოშობა; მოიპოვოს ინფორმაცია სხვადასხვა კულტურაში მკურნალობისა და მედიცინის ხელოვნების შესახებ; შეძლოს მათი თავისებურებების დასახელება.

1. მასწავლებელი კითხვების საშუალებით გამოიკითხავს წინა გაკვეთილზე ახსნილ მასალას და ამოწმებს საშინაო დავალებებს (5 წუთი);
2. რამდენიმე მოსწავლე წარადგენს თავის ნაშრომს კლასის წინაშე და აკეთებს ზეპირ პრეზენტაციას. შესაძლებელია პრეზენტატორს მოსწავლეებმა დაუსვან შეკითხვები. შეფასების დროს გამოვიყენებთ პრეზენტაციის შეფასების სქემას (8 წუთი);
3. მასწავლებელი გონებრივი იერიშის მეთოდით ადგენს, რა იციან მოსწავლეებმა განსახილველი თემის შესახებ (4 წუთი);
4. მინი-ლექცია: მასწავლებელი მოსწავლეებს ესაუბრება მედიცინისა და მკურნალობის წარმოშობის, ისტორიისა და მახასიათებლების შესახებ სხვადასხვა კულტურაში (7 წუთი);
5. მოსწავლეები აქტიური კითხვის სტრატეგიის გამოყენებით ეცნობიან საგაკვეთილო ტექსტის ძირითად ნაწილს და იწერენ იმ ფრაზებსა და ინფორმაციებს, რომლებიც საინტერესოდ მიიჩნიეს (8 წუთი);
6. ამ სტრატეგიის შემდეგ მოსწავლეთა შორის იმართება აზრთა გაზიარება და მსჯელობა (8 წუთი);
7. მასწავლებელი კლასს ყოფს ოთხ ნაწილად და ამზადებს ჯგუფური მუშაობისათვის. თითოეულ ჯგუფს აძლევს დავალებას: I ჯგუფი — იმსჯელეთ, რა არსებითი განსხვავებაა თანამედროვე დასავლურ და ჩინურ მედიცინას შორის? II ჯგუფი — რატომ აერთიანებს მუმიფიცირების ტრადიცია ძველი ეგვიპტელების რელიგიურ წარმოდგენებსა და სამედიცინო ცოდნას? III ჯგუფი — გაარკვიეთ, რომელ ბალახეულ ან სხვა საშუალებებს იყენებენ დღემდე ადამიანები სამკურნალოდ? IV ჯგუფი — გაიხსენე ისტორიიდან, რა ვითარებაში ითარგმნა ქართულ ენაზე „წიგნი საქიმოი“? (5 წუთი).

24.2 მკურნალობა და მედიცინა

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლემ უნდა მოიძიოს ინფორმაცია სხვადასხვა კულტურის ხალხთა სამკურნალო-სამედიცინო ცოდნისა და პრაქტიკის შესახებ; ჩაერთოს ჯგუფურ მუშაობაში, შეძლოს არგუმენტირებული მსჯელობა და ვიზუალური მასალების გამოყენება.

1. გაკვეთილის დასაწყისში მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად შეიმუშავებს ჯგუფური მუშაობის რამდენიმე წესს და ჩამოწერს დაფაზე (2 წუთი);
2. ჯგუფური მუშაობა: თითოეული ჯგუფი მუშაობს იმ საკითხზე, რომელიც წინა გაკვეთილზე შეხვდა. ეცნობიან ჯგუფის წევრთა ინფორმაციებს, აჯერებენ აზრებს, ქმნიან ერთ სრულყოფილ ვარიანტს და ირჩევენ პრეზენტატორს (8 წუთი);
3. ჯგუფური ნამუშევრების პრეზენტაცია და განხილვა, თანატოლთა შეფასების სქემის გამოყენება (16 წუთი);
4. მასწავლებელი ჯგუფებს სთხოვს, წაიკითხონ გაკვეთილში მოცემული დამატებითი ინფორმაცია; შეადარონ ერთმანეთს ჰიპოკრატეს და თანამედროვე ექიმის ფიცის ტექსტები; გამოავლინონ მათი მთავარი პრინციპები. შესაძლებელია ამ პრინციპების ჩამოწერა და კლასის წინაშე წარდგენა (6 წუთი);
5. ნამუშევრების გაცნობა და მასწავლებლის კომენტარი (8 წუთი);
6. გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი აჯამებს ჯგუფურ მუშაობას, ყურადღებას ამახვილებს ნამუშევრების დადებით მხარეებზე, ხოლო კრიტიკული შენიშვნების ძირითადი ნაწილი გადააქვს მომავალ სამუშაო გეგმაში (3 წუთი);
7. საშინაო დავალების განაწილება სურვილისა და ინტერესის გათვალისწინებით:

- მოიძიეთ ინფორმაცია ბერძნულ მითოლოგიიდან: რატომ იყო კომბალზე შემოხვეული გველი ასკლეპიოსის და მედიცინის სიმბოლო?
- გამოიკვლიეთ დავით ბატონიშვილის პიროვნება და მოიძიეთ ინფორმაცია მის წიგნზე „იადიგარ დაუდი“ (2 წუთი).

25. სიმბოლო

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლემ სიმბოლო უნდა აღიქვას როგორც უნივერსალია; განიხილოს მისი კონკრეტული ფორმები სხვადასხვა კულტურაში და განსაზღვროს მათი მნიშვნელობა; განასხვაოს იგი ემბლემისა და ნიშნისაგან.

1. პროვოცირების მიზნით, მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, თავიანთი განწყობა გადმოსცენ რაიმე სიმბოლოს დახატვით (4 წუთი);
2. მოსწავლეთა ნამუშევრების გაცნობა (4 წუთი);
3. მასწავლებელი წინასწარ მომზადებულ ვიზუალურ მასალებს პროექტორით აჩვენებს ეკრანზე და მოსწავლეებს სთხოვს, გამოთქვან მოსაზრებები, რა იციან ნაჩვენები სიმბოლოების შესახებ (5 წუთი);
4. გაკვეთილის ტექსტის და დამატებითი ინფორმაციის წაკითხვა „ვიცი-მინდა ვიცოდე-ვისწავლე“ მეთოდის გამოყენებით (6 წუთი);
5. წაკითხულის გაანალიზება კითხვა-პასუხის რეჟიმში (4 წუთი);
6. ჯგუფური მუშაობა: პირველ ჯგუფს ეძლევა შემდეგი დავალება - ჩამოთვალეთ სხვადასხვა სიმბოლო და ისაუბრეთ, რა განცდას იწვევენ ისინი ადამიანში. მეორე ჯგუფის დავალება: წინა გაკვეთილებში მოიძიეთ სიმბოლოები და იმსჯელეთ მათი მნიშვნელობების შესახებ (10 წუთი);
7. ჯგუფური ნამუშევრების პრეზენტაცია-შეფასება (7 წუთი);
8. მასწავლებლის შემაჯამებელი სიტყვა — სიმბოლოების ცოდნა მოსწავლეებს დაეხმარება სხვადასხვა კულტურების უკეთ გაცნობასა და წარმატებული ურთიერთობების დამყარებაში (3 წუთი);
9. საშინაო დავალების განაწილება: 1) მოიძიეთ სხვადასხვა ქვეყნის სახელმწიფო სიმბოლიკა და იმსჯელეთ მათზე მოცემული გამოსახულებების მნიშვნელობის შესახებ. 2) მოიძიეთ ინფორმაცია მე-20 საუკუნეში საქართველოს სახელმწიფო სიმბოლიკის ისტორიის შესახებ. 3) მოიძიეთ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რას ნიშნავს „ალმა მატერ“ და დაუკავშირე იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გერბზე გამოსახულ სიმბოლოს (2 წუთი).

26. ხელოვნება

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლემ, ანალიზის შედეგად, უნდა გააცნობიეროს, რომ ხელოვნება წარმოადგენს უნივერსალიას, განიხილოს მისი კონკრეტული ფორმები სხვადასხვა კულტურაში და დააკავშიროს იგი ყოფით ცხოვრებასთან, მაგიასთან, რელიგიასა და ტექნიკურ პროგრესთან.

1. მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს ე.წ. ასოციაციური კავშირის სქემის დაფის ცენტრში დახაზვით, რომელიც ივსება მოსწავლეთა მიერ გამოთქმული მოსაზრებებით (2 წუთი);



2. მასწავლებელი კლასს სთავაზობს ხელოვნების რამდენიმე განმარტებას და ატარებს ინტერაქტიულ ლექცია-საუბარს ხელოვნების თემაზე (7 წუთი);
3. პროექტორის საშუალებით მასწავლებელი ეკრანზე აჩვენებს ხელოვნების ნიმუშების ამსახველ ფოტოებს, სურათებს, შეიძლება ვიდეო მასალების გამოყენებაც და მოსწავლეებს სთხოვს, გადმოსცენ თავიანთი გრძნობები ვიზუალური მასალასთან დაკავშირებით. ამ აქტივობის შემდეგ კლასი აკეთებს დასკვნას, რომ ხელოვნების ნიმუში გადმოსცემს ავტორის ემოციებსა და იდეებს, ხოლო მნახველში კი ის იწვევს გრძნობებს (5 წუთი);
4. გონებრივი იერიშის მეთოდით მასწავლებელი ავითარებს მოსწავლეთა დამოუკიდებელ აზროვნებას, კვლევის უნარს და კლასს მიმართავს შეკითხვით: როგორ ფიქრობთ, რას შეიძლება უკავშირდებოდეს ხელოვნების დარგების წარმოშობა და განვითარება? ეს მუშაობა მიმდინარეობს წყვილებში (4 წუთი);
5. ამის შემდეგ მოსწავლეები კითხულობენ გაკვეთილის ტექსტის იმ ნაწილს, რომელშიც დასმულ შეკითხვაზეა საუბარი, ადარებენ თავიანთ პასუხებს და გამოაქვთ დასკვნები. შესაძლებელია თვითშეფასების სქემით სარგებლობა (5 წუთი);
6. მასწავლებელი მოსწავლეებს ახსენებს ცნობილ ფრაზებს: „ხელოვნება ხელოვნებისათვის“ და „ხელოვნება ხალხისათვის“. ინდივიდუალურ მუშაობისთვის ეძლევათ საკლასო სამუშაო: მოკლედ ჩამოაყალიბონ, როგორ ესმით ამ ფრაზების მნიშვნელობა და რომელ მათგანს ეთანხმებიან (5 წუთი);
7. რამდენიმე ნამუშევრის კლასის წინაშე წარდგენა და მასწავლებლის კომენტარი (5 წუთი);
8. ამის შემდეგ კლასი იყოფა რამდენიმე ჯგუფად და ასრულებს დავალებას: ყოველმა ჯგუფმა ჩამოწეროს წილისყრით შეხვედრილი რეგიონის ეპოქის თუ სტილის (ეგვიპტე, შუამდინარეთი, ანტიკური ხანა, შუა საუკუნეები, აღორძინების ხანა, ბაროკო, კლასიციზმი, რომანტიზმი, ახალი დრო, უახლესი დრო) მათთვის ცნობილი ხელოვნების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები და მათი ქმნილებები (6 წუთი);
9. ჯგუფური ნამუშევრების პრეზენტაცია. პრეზენტაციის შეფასების სქემის გამოყენება (5 წუთი);
10. საშინაო დავალება: მოსწავლეებმა მოიძიონ ინფორმაცია ვიზუალური მასალის თანხლებით, რომელშიც საუბარი იქნება სხვადასხვა კულტურის ხალხთა ხელოვნების შედევრებისა და ავტორების შესახებ (1 წუთი).

27. სამართალი

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლემ უნდა გამოიკვლიოს, რა ფაქტორები განაპირობებს სამართლის სისტემების განსხვავებულობას სხვადასხვა ხალხებში; შეადაროს ერთმანეთს სხვადასხვა დროს სხვადასხვა ქვეყანაში არსებული კანონები; დაწეროს ესე.

1. მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს გონებრივი იერიშით - რა არის სამართალი? (1 წუთი);
2. მოსწავლეთა პასუხების მოსმენა და მსჯელობა გაკვეთილის დასაწყისში დასმული შეკითხვის ირგვლივ (5 წუთი);
3. ტექსტის გაცნობა აქტიური კითხვის სტრატეგიის გამოყენებით და კორნელის გრაფის შევსება (8 წუთი);
4. ამ სტრატეგიის შესრულების შემდეგ მოსწავლეთა შორის აზრთა გაზიარება და ზოგადი საკლასო დისკუსია - სამართლიანობა და სამართალი, კანონიერება და სამართლიანობა ერთსა და იმავეს ნიშნავს? როგორ გესმით დებულება, რომ სისხლის აღება წარმოადგენდა დანაშაულის თავიდან აცილების ფორმას? (10 წუთი);
5. დისკუსიის შეჯამება და დასკვნების გამოტანა (3 წუთი);
6. წყვილებში მუშაობა: რა ფაქტორები განაპირობებს სამართლის სისტემების განსხვავებულობას სხვადასხვა ხალხებში? ისტორიიდან გაიხსენეთ და შეადარეთ ერთმანეთს სხვადასხვა დროს სხვადასხვა ქვეყანაში არსებული კანონები (8 წუთი);
7. პრეზენტატორთა პასუხების მოსმენა და თანატოლთა შეფასების სქემის გამოყენება (8 წუთი);
8. მასწავლებელი კლასს ამზადებს მომავალი შემაჯამებელი სამუშაოსთვის და აცნობს შემაჯამებელი დავალების შინაარსს, აძლევს მითითებებს: შესაძლებლად მიგაჩნიათ საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირება სამართლის გარეშე? რა მოხდება, დაწერილი სამართალი რომ არ არსებობდეს? (2 წუთი).

28. შრომა, პროფესია და ჰობი

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლემ უნდა გაიაზროს, რომ შრომა კაცობრიობის უნივერსალური თვისებაა; გამოიკვლიოს, რა განაპირობებს სხვადასხვა კულტურაში საქმიანობის თავისებურებებს; იმსჯელოს პროფესიისა და ჰობის ურთიერთკავშირის შესახებ, მოიძიოს მაგალითები.

1. მასწავლებელი კლასს აცნობს გაკვეთილის თემას და სავარაუდო სცენარს (2 წუთი);
2. კლასს ყოფს სამ ნაწილად და აძლევს დავალებებს: პირველმა ჯგუფმა უნდა მოამზადოს საკითხი: „შრომა - კაცობრიობის უნივერსალური თვისება“. გამოიყენონ არსებული ცოდნა და გაკვეთილში მოცემული ინფორმაციები. მეორე ჯგუფი - მოამზადოს საკითხი: „პროფესია და მისი ნაირსახეობანი“. მესამე ჯგუფი - „რა არის ადამიანისთვის ჰობი?“ ამ აქტივობის საშუალებით მოსწავლეები გამოავლენენ თავიანთ შესაძლებლობებს, ისწავლიან ტექსტის დახარისხებას და საჭიროებისამებრ გამოყენებას (15 წუთი);
3. ჯგუფების ლიდერთა მიერ ნამუშევრების პრეზენტაცია და მასწავლებლის განმავითარებელი კომენტარი (12 წუთი);
4. მასწავლებელი გაკვეთილს აგრძელებს გონებრივი იერიშის მეთოდით: ჩამოთვალეთ პროფესიები, რომლებიც თავდაპირველად მხოლოდ გართობა იყო (6 წუთი);
5. მასწავლებელი აჯამებს გაკვეთილს, მოსწავლეებს ესაუბრება შრომის და დასვენების, პროფესიისა და ჰობის ურთიერთკავშირის შესახებ (8 წუთი);
6. საშინაო დავალების პირობის გაცნობა: მოიძიეთ ინფორმაცია საინტერესო, უცნაური და საშიში პროფესიების შესახებ; მოიძიეთ ინფორმაცია გამოჩენილი ადამიანების ჰობის შესახებ (2 წუთი).

29. რეკრეაცია

გაკვეთილის მიზანი: ანალიზის შედეგად, მოსწავლემ რეკრეაცია უნდა განიხილოს როგორც კულტურული უნივერსალია; იმსჯელოს სხვადასხვა ქვეყნის სარეკრეაციო ზონის განსხვავების საფუძვლებზე.

1. მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებს მოსწავლეთა განწყობაზე და კლასს მიმართავს შეკითხვით: როგორ ახერხებთ ენერგიის აღდგენას და დასასვენებლად როგორ ადგილებს და ფორმებს ირჩევთ? (3 წუთი);
2. მოსწავლეები გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს და მასწავლებელი დაფაზე ჩამოწერს მოსწავლეების მიერ დასახელებულ ადგილებს და ფორმებს(5 წუთი);
3. მასწავლებელი დაფის ცენტრში ხაზავს წრეს და წერს სიტყვას რეკრეაცია. მოსწავლეების დახმარებით ივსება ასოციაციური კავშირის სქემა (4 წუთი);
4. წინასწარ მოძიებული ვიზუალური მასალების გამოყენებით, მასწავლებელი ატარებს ინტერაქტიურ საუბარს რეკრეაციის შესახებ (8 წუთი);
5. კლასი იყოფა რამდენიმე ჯგუფად და ეძლევა დავალება: ვთქვათ, შესაძლებლობა მოგეცათ, შექმნათ რეკრეაციული სივრცე. როგორ მოაწყობდით მას და რას გაითვალისწინებდით? დავალება შეგიძლიათ წარმოადგინოთ ნახატის, მაკეტის, ნახაზის ან სიტყვიერი აღწერის სახით (10 წუთი);
6. ნამუშევრების გაცნობა და საერთო დასკვნის გამოტანა (8 წუთი);
7. გაკვეთილის შეჯამება გაკვეთილის ბოლოს მოცემული შეკითხვაზე პასუხის გაცემით (3 წუთი);
8. საშინაო დავალების პირობის გაცნობა: ისაუბრეთ რეკრეაციის ფორმებსა და საშუალებებზე, რომლებიც თქვენ ყველაზე მეტად მოგწონთ (1 წუთი);
9. მოსწავლეთა შეფასება საკლასო კომპონენტში (3 წუთი).

30. თამაში

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლემ უნდა განიხილოს თამაში როგორც კულტურის უნივერსალია; გამოიკვლიოს მისი ტიპები და მახასიათებლები სხვადასხვა კულტურაში; იმსჯელოს თამაშის სპორტულ სახეობებზე, დაუკავშიროს იგი სოციალიზაციის პროცესს.

1. მასწავლებელი გაკვეთილის დასაწყისში ამოწმებს საშინაო დავალებას და საუკეთესო ნაშრომს განიხილავს მოსწავლეებთან ერთად (8 წუთი);
2. მასწავლებელი მოსწავლეებს შეახსენებს გაკვეთილს „კულტურის უნივერსალიები“ (4 წუთი);
3. წყვილებს ეძლევათ სამუშაო: მიღებული ცოდნის საფუძველზე დაადგინეთ, არის თუ არა თამაში უნივერსალია და რატომ? პასუხი დაასაბუთეთ მაგალითის მოყვანით (6 წუთი);
4. მოსწავლეთა პასუხების მოსმენა და მასწავლებლის სიტყვიერი კომენტარები (8 წუთი);
5. ამის შემდეგ მასწავლებელი კლასს შესთავაზებს სადისკუსიო თემას: არის თუ არა თამაში სოციალიზაციის აგენტი? შესაძლებელია „კალამი მიკროფონის“ გამოყენება (10 წუთი);
6. მასწავლებელი აჯამებს დისკუსიას და მოსწავლეებს აფასებს დისკუსიის შეფასების სქემის საშუალებით (7 წუთი);
7. საშინაო დავალების პირობის გაცნობა: 1) მოიძიეთ მასალები მსოფლიოში გავრცელებული თამაშების შესახებ. 2) დაწერეთ თხზულება: „როცა ვთამაშობ...“ (2 წუთი).

31. დრო

მიზანი: მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს დრო, როგორც საზოგადოების ერთ-ერთი ძირითადი რესურსი, დროის აღქმა და დროისადმი დამოკიდებულება როგორც კულტურათაშორისი განსხვავების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი.

1. მასწავლებელი გაკვეთილზე საგანგებოდ შედის ორიოდე წუთის დაგვიანებით (პრობლემის თავიდან ასარიდებლად, შეიძლება ამის შესახებ წინასწარ შეატყობინოს სკოლის ხელმძღვანელობასა და მანდატურის სამსახურს) და მოსწავლეებს ეკითხება, თუ რა განწყობა გაუჩნდათ მის მიმართ დაგვიანების გამო. შემდეგ მასწავლებელი გამოიკვლევს მოსწავლეთა დამოკიდებულებას ზოგადად პუნქტუალურობისადმი (3 წუთი).
2. მასწავლებელი ძალიან მოკლედ ესაუბრება ბავშვებს იმის შესახებ, რომ სხვადასხვა კულტურაში განსხვავებულად აღიქვამენ დროს. შემდეგ ეკითხება მოსწავლეებს:

- თქვენი აზრით, რა არის სადღეისოდ იმის მიზეზი, რომ ადამიანები ბევრ ქვეყანაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ პუნქტუალურობას?
- ხომ არ იცით, დროისადმი ასეთი დამოკიდებულება საიდან და როდის იღებს სათავეს? (3 წუთი)

3. სავარაუდოა, რომ ამ კითხვას ისინი ვერ უპასუხებენ და მასწავლებელი სთავაზობს მათ, პასუხი მოიძიონ გაკვეთილის ტექსტში.
4. მასწავლებელი კლასს ყოფს 4-6 ბავშვიან ჯგუფებად. მოსწავლეები კითხულობენ ტექსტს და ასრულებენ პირველ დავალებას (15 წუთი);
5. ჯგუფების შესრულებული დავალების შემოწმება სასურველია ისე მოხდეს, რომ ყოველმა ჯგუფმა ერთ კითხვას მაინც გასცეს პასუხი, ხოლო დანარჩენ ჯგუფებს უნდა მიეცეს საშუალება, თუ იგივე კითხვაზე განსხვავებული პასუხი აქვთ, გამოთქვან იგი (7-10 წუთი);

სავარაუდო პასუხები პირველ კითხვაზე: დრო ფულია, დროის ფლანგვა, დროის მოკვლა, დროის გატარება, „ნუ გადადებ ხვალისთვის იმას, რის გაკეთებაც დღეს შეგიძლია", წუთისოფელი, წარმავალი დრო...

6. ამის შემდეგ მოსწავლეები ეცნობიან პირაჰას ხალხის ცხოვრებას „დროის გარეშე" (5 წუთი), ეწყობა მცირე დისკუსია (5 წუთი)
7. მასწავლებელი საშინაო დავალებას აძლევს კლასს. დავალება ტრანსპორტის მოძრაობის გრაფიკის შესწავლის შესახებ შეიძლება გრძელვადიანი იყოს: წარმოადგინონ 1-2 კვირის შემდეგ.

32. ციკლური და სწორხაზოვანი დრო

მიზანი: მოსწავლეებს გავაცნოთ დროის ციკლური და სწორხაზოვანი აღქმის თავისებურებები.

1. მასწავლებელი გაკვეთილს იწყებს გონებრივი იერიშით: რას ნიშნავს დროის აღქმა? (3 წუთი)
2. მასწავლებელი ატარებს მინი-ლექციას დროის ციკლური და სწორხაზოვანი აღქმის თავისებურებათა შესახებ (7 წუთი);
3. მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს, იმსჯელონ საკითხზე: ჩვენი საზოგადოებისათვის დამახასიათებელი დროის აღქმა ციკლურია თუ სწორხაზოვანი? განსხვავებულ მოსაზრებათა არგუმენტები იწერება დაფაზე T-სქემის სახით (5 წუთი);
4. მოსწავლეები მსჯელობენ ტექსტში მოცემულ კითხვებზე (10 წუთი);
5. მოსწავლეები იყოფიან ჯგუფებად და მუშაობენ მე-3 და მე-4 დავალებაზე. შესრულებული დავალების წარდგენა და მსჯელობა (15 წუთი).

33. ენა. ნიშანთა სისტემები

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლემ უნდა გააცნობიეროს, რომ ადამიანთა ნებისმიერი სტაბილური ერთობა გულისხმობს ამ ერთობის უზრუნველმყოფი რეგულაციური სისტემების არსებობას; იმსჯელოს განსაკუთრებული საჭიროების მქონე ადამიანთა კომუნიკაციის ფორმებისა და საერთაშორისოდ აღიარებული ნიშანთა სისტემების მნიშვნელობაზე.

1. გაკვეთილის დასაწყისში მასწავლებელი, მოტივაციის ამაღლების მიზნით, მოსწავლეებს აცნობს გაკვეთილის მიზანს და შესასწავლი საკითხების ცოდნის საჭიროებას (3 წუთი);
2. მინი-ლექცია: მასწავლებელი მოსწავლეებს ესაუბრება ენის, როგორც ურთიერთობის, გამოცდილების დაგროვებისა და სწავლების ეფექტურ საშუალებაზე, კლასი მიჰყავს იმ დასკვნამდე, რომ ენობრივი კომუნიკაცია თითქმის მთლიანად სწავლებაზეა დამყარებული (7 წუთი);
3. მასწავლებელი შეკითხვების მეშვეობით ამოწმებს, რამდენად გაიგეს მოსწავლეებმა ახალი გაკვეთილი (5 წუთი);
4. ჯგუფური მუშაობა: კლასი იყოფა თანაბარ ჯგუფებად. მასწავლებელს ამ აქტივობაში შეაქვს შეჯიბრის ელემენტი. მოსწავლეებმა შეზღუდულ დროში რაც შეიძლება მეტი ქართული სიტყვა უნდა ჩამოწერონ, რომელთა მნიშვნელობა დროთა განმავლობაში შეიცვალა. დროის ამოწურვისთანავე ყოველი ჯგუფი მასწავლებელს აბარებს თავის ნამუშევარს (7 წუთი);
5. ჯგუფური ნამუშევრების პრეზენტაცია და გამარჯვებულის გამოვლენა (10 წუთი);
6. საერთაშორისოდ აღიარებული ნიშანთა სისტემების განხილვა. მასწავლებელი პროექტორით უჩვენებს საერთაშორისო პიქტოგრამებს, ხოლო მოსწავლეები ცდილობენ მათ გამოცნობას (6 წუთი);
7. მასწავლებელი სვამს შეკითხვას: ნიშანთა კიდევ რომელ სისტემას იცნობთ? (3 წუთი);
8. გაკვეთილის შეჯამება და გაკვეთილის ბოლოს მოცემული დავალებების განაწილება მოსწავლეთა ინტერესების და შესაძლებლობების გათვალისწინებით (4 წუთი).

34. ენის ტყვეობაში

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლემ უნდა გამოიკვლიოს, რომელი შიდა და გარე ფაქტორების ერთობლიობა განაპირობებს ენის დინამიკას; გაიაზროს, რომ ენები სხვადასხვაგვარად ახდენენ სამყაროს ერთისა და იმავე მახასიათებლის კოდირებას; სხვა კულტურის ხალხთან წარმატებული ურთიერთობისას გაითვალისწინოს კონკრეტული ენის თავისებურებები.

1. მასწავლებელი ამოწმებს საშინაო დავალებას, განიხილავს კლასთან ერთად რამდენიმე ვარიანტს და აკეთებს კომენტარებს (7 წუთი);
2. ახალი გაკვეთილის უკეთ გააზრებისა და საგანთაშორისი კავშირის დამყარების მიზნით, მასწავლებელი დაფაზე წერს წინადადებებს. მოსწავლეებს სთხოვს, ამოიცნონ შეცდომები და წინადადებები გადაწერონ ქართულისათვის დამახასიათებელი ფორმების გამოყენებით (6 წუთი);
3. გაკვეთილის ძირითად ნაწილს მასწავლებელი ახალი საკითხის დეტალურ ახსნას უთმობს (8 წუთი);
4. ჯგუფური მუშაობა: მოსწავლეები წერენ ნათესაობის აღმნიშვნელ ყველა სიტყვას და, ლექსიკონის დახმარებით, ცდილობენ მოუძებნონ შესატყვისი კატეგორიები მათთვის ცნობილ უცხო ენაში (7 წუთი);
5. ჯგუფური ნამუშევრების განხილვა და მასწავლებლის კომენტარი (8 წუთი);
6. მასწავლებელი პროექტორის საშუალებით ეკრანზე აჩვენებს სარეკლამო სლოგანებს და მოსწავლეებს სთხოვს დაასახელონ, რომელი ფაქტორის გათვალისწინება გამორჩათ სარეკლამო კამპანიის დროს (5 წუთი);
7. ლოგიკური აზროვნების განვითარების და გაკვეთილის შეჯამების მიზნით, მასწავლებელი მოსწავლეებს მიმართავს კითხვით: რომელი ცნობილი ფრაზით დაასრულებდით გაკვეთილს? როგორ შეიძლება ენის ტყვეობისგან თავის დაღწევა? (“რამდენი ენაც იცი იმდენი კაცი ხარ“) (4 წუთი).

35. არავერბალური კომუნიკაცია

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლემ უნდა განასხვაოს ვერბალური და არავერბალური კომუნიკაცია; სხვადასხვა კულტურის მაგალითების საშუალებით განსაზღვროს არავერბალური კომუნიკაციის ფორმები და მნიშვნელობები.

1. გაკვეთილის დასაწყისში მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს გაკვეთილის მიზანს და მისი შესწავლის საჭიროებას (2 წუთი);
2. საშინაო დავალების შემოწმება. რამდენიმე ნამუშევრის კლასის წინაშე წარდგენა-შეფასება (7 წუთი);
3. მასწავლებელი ორ მოსწავლეს სთხოვს, მონაწილეობა მიიღონ მხიარულ ექსპერიმენტში და უხსნის თამაშის წესებს: მათ ურიგდებათ ბარათები, რომლებზეც 2 წინადადება წერია. ერთი, კონკრეტული (ქათამმა კვერცხი დადო), მეორე, განყენებული (მონაზონი ლოცულობს წინაპართა სულებისათვის). ორივე წინადადება მოსწავლეებმა ჟესტების გამოყენებით უნდა „აუხსნან“ კლასს. თანაკლასელები ცდილობენ მის გამოცნობას (4 წუთი);
4. ექსპერიმენტის შემდეგ მასწავლებელი საუბრობს არავერბალური კომუნიკაციის შესახებ (6 წუთი);
5. მასწავლებელი კლასს მიმართავს შეკითხვით „როგორ ამყარებენ ერთმანეთთან ურთიერთობას ცხოველები? კომუნიკაციის რა საშუალებებს იყენებენ ისინი?“ (2 წუთი);
6. მასწავლებელი იყენებს აქტიური მოსმენის მეთოდს და მოსწავლეთა პასუხების შემდეგ ყვება მაიმუნ ვიკის ისტორიას (7 წუთი);
7. იმართება დისკუსია თემაზე: შეუძლიათ თუ არა ცხოველებს ლაპარაკის სწავლა? მასწავლებელმა ისე უნდა წარმართოს დისკუსია, რომ მოსწავლეები მივიდნენ დასკვნამდე — ცხოველები იმიტომ ვერ სწავლობენ ლაპარაკს, რომ ეს უნარი არ არის მოცემული მათ გენეტიკაში (7 წუთი);
8. მასწავლებელი სლაიდშოუს გამოყენებით მოსწავლეებს აცნობს დამატებით ინფორმაციას და სთხოვს მათ, გაზარდონ ჩამონათვალი (6 წუთი);
9. შესაძლებელია ვაჩვენოთ ვიდეო იტალიური ჟესტების შესახებ (3 წუთი);
10. საშინაო დავალების მიცემა: მოძებნეთ მხატვრულ ლიტერატურაში არავერბალური კომუნიკაციის გამოყენების ეპიზოდები და ამოწერეთ ისინი რვეულში (1 წუთი).

36. კულტურის დიფუზია

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლემ უნდა გამოიკვლიოს სხვადასხვა ფაქტორის გავლენა კულტურის ჩამოყალიბებაზე, გავრცელებასა და ფუნქციონირებაზე; განასხვაოს კულტურათა პირდაპირი და არაპირდაპირი დიფუზია და მოიძიოს მისი გამოვლენის მაგალითები.

1. მასწავლებელი მოსწავლეებს თხოვს დიფუზიის განმარტებას (3 წუთი);
2. ამის შემდეგ იმართება მინი-ლექცია კულტურის დიფუზიის, მისი პირდაპირი და არაპირდაპირი სახეების შესახებ (6 წუთი);
3. მოსწავლეები ინდივიდუალურად ეცნობიან ტექსტს, რის შემდეგაც იმართება მსჯელობა (10 წუთი);
4. წყვილებში მუშაობა: მოსწავლეებს ევალებათ, მიღებული ცოდნიდან გამომდინარე, შექმნან სიტყვების რუკა (7 წუთი);
5. საუკეთესო ნაშრომის გამოვლენა (5 წუთი);
6. ჯგუფური მუშაობა: ჯგუფებს ევალებათ, გაიხსენონ „აისბერგის მოდელი“ და განსაზღვრონ, კულტურის რომელი ელემენტების დიფუზია ხდება უფრო სწრაფად? ჯგუფებიდან შერჩეული მოსწავლე წარადგენს შესრულებულ დავალებას კლასის წინაშე (7 წუთი);
7. ამის შემდეგ იმართება საერთო საკლასო მსჯელობა და გაკვეთილის შეჯამება (6 წუთი);
8. საშინაო დავალების პირობის გაცნობა: მოიძიეთ კულტურის პირდაპირი და არაპირდაპირი დიფუზიის მაგალითები (1 წუთი).

37. ასიმილაცია

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლემ უნდა გაიაზროს კულტურათა ასიმილაციის პროცესი, გამოიკვლიოს მისი წარმოშობის მიზეზები; კონკრეტულ მაგალითებზე დაკვირვებით იმსჯელოს ასიმილაციის შედეგებზე.

1. გაკვეთილი იწყება საშინაო დავალებების შემოწმება-შეფასებით (5 წუთი);
2. რამდენიმე ნამუშევრის პრეზენტაცია (7 წუთი);
3. კლასის პროვოცირების მიზნით, მასწავლებელი კითხულობს ჯორჯ ბალანჩინის ბიოგრაფიას, უკავშირებს მას ასიმილაციის პროცესს და კლასს ესაუბრება კულტურული ასიმილაციის შესახებ (10 წუთი);
4. წყვილებში მუშაობა: გაიხსენეთ მაგალითები საქართველოს ისტორიიდან, როცა უცხო კულტურული ჯგუფი ასიმილირდებოდა ქართულ გარემოში (5წუთი);
5. მასწავლებელი იყენებს აქტიური მოსმენის სტრატეგიას და აფასებს წყვილთა პრეზენტაციებს (8 წუთი);
6. იმართება საერთო საკლასო მსჯელობა და დისკუსია თემაზე: დღეს იმიგრანტები, როგორც წესი, უფრო მყარად ინარჩუნებენ საკუთარ კულტურულ ნორმებსა და ფასეულობებს. იმსჯელეთ, რა განაპირობებს ამას? (8 წუთი).
   - სავარაუდო არგუმენტები: საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (მობილური კავშირი, ინტერნეტი და სოციალური ქსელები...) და ტრანსპორტის განვითარება, რაც აიოლებს კონტაქტს სამშობლოსთან; საინფორმაციო საშუალებების განვითარება; კულტურული უმცირესობებისადმი ყურადღების ზრდა; კულტურული მრავალფეროვნების, როგორც ფასეულობის დამკვიდრება.
7. საშინაო დავალების განაწილება:
   - მსოფლიო ისტორიიდან გაიხსენეთ ასიმილაციის მაგალითები და დაასაბუთეთ თქვენი არჩევანი.
   - გაიხსენეთ პერიოდები საქართველოს ისტორიიდან, როცა ქართულ კულტურას ასიმილაციის საფრთხე ემუქრებოდა.
   - მოიძიეთ სათანადო მასალა და დაწერეთ მცირე თხზულება „ჩაინა თაუნისა“ (Chinatown) და „ლითლ იტალის“ (Little Italy) შესახებ. სად და როგორ ჩამოყალიბდა ისინი, რას წარმოადგენენ დღეს? (2 წუთი).

38. მასობრივი კულტურა

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლემ უნდა გამოიკვლიოს, რას ვუწოდებთ მასობრივ კულტურას; დაასახელოს მაგალითები და იმსჯელოს იმაზე, რომ მის დინამიკას შიდა და გარე ფაქტორების ერთობლიობა განაპირობებს.

1. მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების მიზნით, მასწავლებელი პროექტორის საშუალებით აჩვენებს მასობრივი კულტურის ამსახველ ფოტომასალას (3 წუთი);
2. მასწავლებელი კლასს მიმართავს შეკითხვით: რა იცით ბრენდის შესახებ და რომელ ბრენდს ანიჭებთ უპირატესობას? (2 წუთი);
3. იმართება მსჯელობა, მოსწავლეები გამოთქვამენ მოსაზრებებს და ცდილობენ თავიანთი პოზიციის დაცვას (10 წუთი);
4. მასწავლებელი დაფის ცენტრში ხატავს ასოციაციური კავშირის სქემას მზის გამოსახულებით და ავსებს მას მოსწავლეთა მიერ გამოთქმული მოსაზრებებით მასკულტურის შესახებ (4 წუთი);
5. მინი-ლექცია: მასწავლებელი საუბრობს მასკულტურის გავრცელებისა და თავისებურებების შესახებ (7 წუთი);
6. იმართება წყვილებში მუშაობა: წყვილებს ევალებათ, ჩამოაყალიბონ თავიანთი დამოკიდებულება მასკულტურის რომელიმე პროდუქციის მიმართ, რომლის მომხმარებლებიც თავად არიან (5 წუთი);
7. პასუხისმგებლობის და ჩართულობის გაზრდის მიზნით, მასწავლებელი თავად ასახელებს პრეზენტატორს და ისმენს მათ პასუხებს (8 წუთი);
8. მასწავლებელი სვამს შემაჯამებელ შეკითხვას: თქვენი აზრით, რა განაპირობებს მასკულტურის ასე ფართოდ გავრცელებას და პოპულარობას მთელ მსოფლიოში? კლასი ისმენს რამდენიმე მოსწავლის პასუხს და ისინი ფასდებიან საკლასო დავალების კომპონენტში (6 წუთი).

39. რატომ არის მასკულტურა მასობრივი?

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლემ უნდა გამოიკვლიოს, საიდან იღებს სათავეს მასობრივი კულტურა, განსაზღვროს, რა განაპირობებს მის პოპულარობას, გაეცნოს რეკლამის ფუნქციას და იმსჯელოს, რა გავლენას ახდენს მასობრივი კულტურა ჩვენს საზოგადოებაზე.

1. მასწავლებელი, პროვოცირების მიზნით, სვამს შეკითხვას: თუ არსებობს მასობრივი კულტურა, ხომ არ უნდა არსებობდეს „ელიტური“ კულტურაც? მოსწავლეები გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს და მოჰყავთ მაგალითები (6 წუთი);
2. მოსწავლეები ეცნობიან დამატებით ინფორმაციას და ქმნიან სააზროვნო სქემებს, რომლის მიხედვითაც ისაუბრებენ სახალხო და მასობრივი კულტურების ურთიერთკავშირზე (8 წუთი);
3. წყვილებში მუშაობა: მოსწავლეებს მოსაფიქრებლად ეძლევათ 3 წუთი. მათ უნდა ჩამოწერონ, რა განაპირობებს მასკულტურის მასობრიობას (6 წუთი);
4. პასუხების მოსმენა-განხილვა (8 წუთი);
5. საგაკვეთილო ტექსტიდან მოსწავლეები ეცნობიან ინფორმაციას რეკლამის შესახებ (7წუთი);
6. იმართება საერთო საკლასო მსჯელობა: ახდენს თუ არა რეკლამა გავლენას თქვენს გადაწყვეტილებებზე? (7 წუთი);
7. საშინაო დავალება: დაწერონ ესე „მასკულტურა და ჩვენი საზოგადოება“ (2 წუთი).

40. გლობალიზაცია

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლემ უნდა გამოიკვლიოს კულტურათა ცვალებადობის მაგალითები; განსაზღვროს გლობალიზაციის არსი; დააკავშიროს იგი მასკულტურასთან; თავისი შეხედულებები გლობალიზაციასთან დაკავშირებით წარმოაჩინოს თემის სახით.

1. რამდენიმე მოსწავლე კლასის წინაშე წარადგენს თავის ნაშრომს, რომელსაც აფასებენ თანატოლები (7 წუთი);
2. შემდეგ მასწავლებელი დაფაზე ხატავს ე.წ ასოციაციური კავშირის სქემას, რომელიც მოსწავლეთა მიერ გამოთქმული მოსაზრებებით ივსება (3 წუთი);
3. ამის შემდეგ მასწავლებელი ატარებს მინილექციას გლობალიზაციის შესახებ (6 წუთი);
4. შეკითხვების საშუალებით ამოწმებს, თუ როგორ გაიგეს მოსწავლეებმა ახსნილი მასალა. მოსწავლეებიც სვამენ შეკითხვებს და მასწავლებელი ცდილობს ამომწურავი პასუხის გაცემას (5 წუთი);
5. ჩართულობის გაზრდის მიზნით, შემდეგ შეკითხვას ასეთი შინაარსი აქვს: ახდენს თუ არა გავლენას გლობალიზაციის პროცესი თქვენს ყოველდღიურ ცხოვრებაზე? მოსწავლეები გამოთქვამენ თავიანთ შეხედულებებს (5 წუთი);
6. ჯგუფური მუშაობა: ჯგუფებმა უნდა გაიხსენონ მოვლენები, რომლებიც გლობალურად ჩაითვლება და განსაზღვრონ, რამდენად სასიკეთო ან საშიშია ისინი მთელი მსოფლიოსთვის (7 წუთი);
7. ჯგუფური ნამუშევრების პრეზენტაცია. მოსწავლეები აფასებენ ერთმანეთის ნამუშევრებს და ავსებენ პრეზენტატორის გამოსვლებს (7 წუთი);
8. იმართება საერთო საკლასო მსჯელობა: არის თუ არა მასკულტურა გლობალიზაციის შემადგენელი ნაწილი? შესაძლოა მოსწავლეებმა შეადგინონ ცნებითი რუკა (5 წუთი);
9. საშინაო დავალების ჩანიშვნა: დაწერეთ თემა: „გლობალიზაცია და საქართველო“ (1 წუთი).

41. გლობალიზაცია – საფრთხე თუ შესაძლებლობა?

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლემ ინდივიდუალურად და ჯგუფთან ერთად უნდა შეძლოს გლობალიზაციის პროცესის შეფასება. გარკვეული მაგალითების დასახელებით იმსჯელოს მის დადებით და უარყოფით მხარეებზე.

1. საშინაო დავალების რამდენიმე ნიმუშის გაცნობა და თანატოლთა შეფასება (6 წუთი);
2. პროექტორის გამოყენებით მასწავლებელი ეკრანზე აჩვენებს სამი ცნობილი თანამედროვე ქალაქის სურათს, სთხოვს მოსწავლეებს გამოიცნონ, რომელი ქვეყნის ქალაქებია მოცემული ეკრანზე და შეადარონ იგი ადრეული ეპოქების ქალაქებს (5 წუთი);
3. მასწავლებელი სვამს შეკითხვას: რა დასკვნის გაკეთება შეიძლება? რის შედეგია პირველი სურათი? (4 წუთი);
4. მასწავლებელი ატარებს მინი-ლექციას გლობალიზაციის საფრთხეებისა და შესაძლებლობის შესახებ (7 წუთი);
5. წყვილებში მუშაობა: მოსწავლეებმა უნდა გაიხსენონ „აისბერგის მოდელი“ და დააკავშირონ იგი გლობალიზაციის პროცესთან (5 წუთი);
6. ნამუშევრების განხილვა (5 წუთი);
7. მასწავლებელი კლასს ამზადებს დებატებისთვის. ერთ მხარეს სხდებიან გლობალიზაციის მომხრენი, მეორეს კი მოწინააღმდეგენი. თითოეულმა ჯგუფმა უნდა დაასაბუთოს თავისი შეხედულება. გამომსვლელს ეძლევა ნახევარი წუთი (8 წუთი);
8. მასწავლებელი აფასებს დებატებს და გამოთქვამს თავის მოსაზრებას. მოსწავლეები მიყავს იმ დასკვნამდე, რომ გლობალიზაციის ცალსახად განხილვა არ არის მართებული. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გამოიყენებს ადამიანი, საზოგადოება თუ სახელწიფო შექმნილ რეალობას (3 წუთი);
9. საშინაო დავალება: მოიძიეთ ინფორმაცია დღეს უცხოეთში მოღვაწე ცნობილი ქართველების შესახებ (2 წუთი).

42. მასმედია

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლემ ანალიზის შედეგად უნდა გააცნობიეროს მასმედიის როლი თანამედროვე მსოფლიოს სახის ჩამოყალიბებაში; იმსჯელოს ვირტუალური ურთიერთობების ფენომენზე.

1. საშინაო დავალების შემოწმება-შეფასება (8 წუთი);
2. მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს ახალი გაკვეთილის თემას და სთხოვს, გაეცნონ ტექსტს ნიშანთა სისტემის გამოყენებით (7 წუთი);
3. მსჯელობა წაკითხულის ირგვლივ (7 წუთი);
4. მოსწავლეებს ეძლევათ რამდენიმე წუთი იმისათვის, რომ თანმიმდევრობით ჩამოწერონ, რომელი მედია საშუალება რა ადგილს იჭერს მათ ცხოვრებაში (4 წუთი);
5. მასწავლებელი ეცნობა ჩამონათვალს და ისმენს მოსწავლეთა შეხედულებებს (5 წუთი);
6. ეწყობა დისკუსია: თქვენი აზრით, რამდენად შესაძლებელია, რომ ადამიანთა ურთიერთობაში ვირტუალურმა სამყარომ ჩაანაცვლოს რეალური ურთიერთობები? რა საფრთხის შემცველია ვირტუალური ურთიერთობები? (8 წუთი);
7. მასწავლებელი მოსწავლეებთან ერთად აჯამებს დისკუსიას და კლასი მიდის საერთო დასკვნამდე (4 წუთი);
8. საშინაო დავალება: ა) მასმედიის საშუალებებით მოიძიეთ კვირის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა და დაასახელეთ ინფორმაციის მოპოვების წყაროები; ბ) მოიძიეთ ინფორმაცია გაკვეთილში ნახსენები და ნაჩვენები მედია საშუალებებისა და ტექნოლოგიების გამომგონებელთა შესახებ (2 წუთი).

43. კულტურათაშორისი განსხვავებები

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლემ უნდა ახსნას კულტურათა განსხვავების საფუძველი; საკუთარი კულტურის სხვა კულტურასთან შედარების საშუალებით, აღმოაჩინოს კულტურული მსგავსებანი და განსხვავებანი.

1. მასწავლებელი კლასს აცნობს გაკვეთილის მიზანს და, თანამშრომლობის მიზნით, მოსწავლეებს სთხოვს, ერთად შეიმუშაონ გაკვეთილის ფორმატი და ჯგუფური მუშაობის წესები (5 წუთი);
2. ახალ მასალაზე გადასვლას მასწავლებელი იწყებს კითხვის დასმით: რა შეიძლება იყოს სხვადასხვა კულტურაში ერთი და იმავე ფაქტებისა და მოვლენების განსხვავებულად აღქმისა და გამოვლინების მიზეზი? (1 წუთი);
3. მოსწავლეები გამოთქვამენ თავიანთ ვარაუდებს (5 წუთი);
4. პროექტორის საშუალებით, მასწავლებელი ეკრანზე აჩვენებს მრავალფეროვნების ამსახველ სურათებს და ატარებს მინი-ლექციას კულტურათაშორისი განსხვავებების შესახებ (8 წუთი);
5. დამატებითი ინფორმაციის გაცნობა (5 წუთი);
6. ჯგუფური მუშაობა: დამატებითი ინფორმაციის გამოყენებით მოიფიქრეთ, რა მდგომარეობაში შეიძლება აღმოჩნდეს უცხო ქვეყანაში მოხვედრილი ადამიანი, რომელსაც წარმოდგენა არა აქვს კულტურათაშორის განსხვავებებზე (8 წუთი);
7. ნამუშევრების პრეზენტაცია და შეფასება (7 წუთი);
8. მასწავლებლის მიერ გაკვეთილის შეჯამება (5 წუთი).

44. კულტურა და გენდერი

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლე აცნობიერებს კულტურის მნიშვნელობას გენდერული როლების ფორმირებასა და სქესებს შორის ურთიერთობაში, საკუთარი კულტურის სხვა კულტურასთან შედარების საფუძველზე, აღმოაჩენს გენდერულ როლებს შორის მგავსებებსა და განსხვავებებს.

1. მასწავლებელი კლასს აცნობს გაკვეთილის მიზანს და, თანამშრომლობის მიზნით, მოსწავლეებს სთხოვს, ერთად შეიმუშაონ გაკვეთილის ფორმატი (5 წუთი);
2. ახალ მასალაზე გადასვლას მასწავლებელი იწყებს კითხვის დასმით: არსებობს თუ არა „ქალური“ და „მამაკაცური“ პროფესიები? (1 წუთი);
3. მოსწავლეთა პასუხებს მასწავლებელი წერს დაფაზე თ-სქემის გამოყენებით (5 წუთი);
4. მინი-ლექცია: მასწავლებელი მოსწავლეებს ესაუბრება კულტურის როლზე გენდერული იდენტობის ფორმირებაში; სხვადასხვა საზოგადოებაში სქესთაშორისი ურთიერთობებისა და გენდერული როლების მსგავსება—განსხვავებებზე (7 წუთი);
5. პროექტორის საშუალებით, მასწავლებელი ეკრანზე აჩვენებს ფილმებს „გენდერული როლები“ და „ინტერვიუ ბავშვებთან გენდერული როლების შესახებ“ (8 წუთი);
6. დისკუსია ფილმების გარშემო (5 წუთი);
7. მასწავლებელი სვამს კითხვას: გავლილი მასალიდან რომელ გაკვეთილებს დაუკავშირებთ განხილულ თემას? (სავარაუდო პასუხები: საზოგადოება, სოციალიზაცია, იდენტობა და სხვა). მოსწავლეები ასაბუთებენ პასუხებს (6 წუთი);
8. მასწავლებლის მიერ გაკვეთილის შეჯამება (3 წუთი).

45. კულტურათა ტიპოლოგია

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლემ უნდა გამოიკვლიოს კულტურათა ტიპოლოგიის საფუძველი; შეძლოს კულტურათა დაჯგუფება საერთო ნიშანთა მიხედვით; განსაზღვროს მისი მნიშვნელობა.

1. გაკვეთილი იწყება გონებრივი იერიშით. წყვილებმა უნდა შეძლონ გაკვეთილის დასაწყისში მოცემული დავალების შესრულება (6 წუთი);
2. მოსწავლეები ეცნობიან ერთმანეთის ნამუშევრებს და გამოაქვთ საერთო დასკვნა (7 წუთი);
3. მასწავლებელი ატარებს მინი-ლექციას კულტურათა ტიპოლოგიის შესახებ (7 წუთი);
4. მოსწავლეები ეცნობიან ტექსტს და ინდივიდუალურად ჩამოწერენ, რის მიხედვით შეიძლება მოხდეს კულტურათა ტიპოლოგია (7 წუთი);
5. მასწავლებელი განიხილავს ნამუშევრებს და საბოლოო სახეს თავად აძლევს ჩამონათვალს, რომელსაც ჩამოწერს დაფაზე:

- დამოკიდებულება დროისა და სივრცისადმი
- დამოკიდებულება ინდივიდისა და ჯგუფისადმი
- დამოკიდებულება ტრადიციისა და სიახლისადმი და ა.შ (7 წუთი);

6. ეწყობა საერთო საკლასო მსჯელობა: გაკვეთილში მოცემული ტიპოლოგიის მოდელების მიხედვით, იმსჯელეთ ქართული კულტურის მახასიათებლების შესახებ (7 წუთი);
7. მოსწავლეები ფასდებიან საკლასო დავალების კომპონენტში (2 წუთი).
8. მასწავლებელი აჯამებს გაკვეთილს და მოსწავლეებს უხსნის, რაში დაეხმარებათ კულტურათა ტიპოლოგიის სფეროში დაგროვილი ცოდნა (2 წუთი).

46. საქართველოს ეთნოგრაფიული მრავალფეროვნება

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლემ უნდა გამოიკვლიოს სხვადასხვა ფაქტორის გავლენა კულტურის ჩამოყალიბებასა და ფუნქციონირებაზე; გაეცნოს საქართველოს კუთხეებისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს და იმსჯელოს მათ შორის მსგავსება-განსხვავებაზე.

1. გაკვეთილი იწყება სლაიდ-შოუს ჩვენებით. პარალელურად მასწავლებელი ატარებს ინტერაქტიურ მინი-ლექციას საქართველოს ეთნოგრაფიული მრავალფეროვნების შესახებ (6 წუთი);
2. დამოუკიდებელი სამუშაო: მოსწავლეები ინდივიდუალურად უნდა გაეცნონ გაკვეთილში მოცემულ ნაწყვეტებს ლიტერატურული ნაწარმოებებიდან, ამოირჩიონ მათგან ერთ-ერთი, იმსჯელონ პერსონაჟთა მეტყველების თავისებურებებზე და დიალექტურ ფორმებს მოუძებნონ შესატყვისი სალიტერატურო ფორმები (7 წუთი);
3. რამდენიმე ნამუშევრის განხილვა (6 წუთი);
4. იმართება საერთო საკლასო მსჯელობა თემაზე: რა გავლენას ახდენს დიალექტური მეტყველება სალიტერატურო ენაზე? (მოსწავლეებს შეუძლიათ მაგალითები მოიყვანონ ცნობილი მწერლებისა და კრიტიკოსების ნაწარმოებებიდან) (7 წუთი);
5. წყვილებში მუშაობა: როგორ წარმოაჩენდით საქართველოს რომელიმე კუთხეს, რომელ მახასიათებელს გამოყოფდით (წყვილებმა ნამუშევარი შეიძლება წარმოადგინონ ნახატის, მცირე ჩანახატის, ანეკდოტის, სიტყვების რუკის სახით. შესაძლებელია როლური თამაშის გამოყენებაც. მცირე სცენარის მიხედვით, მოსწავლეები განასახიერებენ რომელიმე კუთხის მცხოვრებთა ქცევას, მეტყველებას და ა.შ.) (10 წუთი);
6. მასწავლებელი აფასებს მოსწავლეებს ჩართულობისა და თანამშრომლობითი უნარის წარმოჩენის მიხედვით (3 წუთი);
7. გაკვეთილის შეჯამება. მასწავლებელი საუბრობს საქართველოს ეთნოგრაფიული მრავალფეროვნების მნიშვნელობაზე (4 წუთი);
8. დავალებების განაწილება სურვილებისა და ინტერესების გათვალისწინებით:

- ქართულ ლიტერატურაში მოიძიეთ საქართველოს ეთნოგრაფიული მრავალფეროვნების ამსახველი მაგალითები — ამა თუ იმ კუთხის წარმომადგენელთათვის დამახასიათებელი მეტყველება, ჩაცმულობა, ყოველდღიური ყოფის თავისებურებები და ა.შ. იმსჯელეთ მათ შორის მსგავსებებსა და განსხვავებებზე;
- ნახეთ ქართული მხატვრული ფილმები — „იმერული ესკიზები“ (რეჟისორი ნანა ჯანელიძე) და „სიყვარული ყველას უნდა“ (რეჟისორი გიორგი შენგელაია). იმსჯელეთ ფილმებში ასახულ კუთხურ თავისებურებებზე (2 წუთი).

47. საქართველოს კულტურული მრავალფეროვნება

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლემ საქართველოს მაგალითზე უნდა აღწეროს და განიხილოს რეგიონების კულტურული მახასიათებლები, იპოვოს საერთო და განმასხვავებელი თვისებები; პოზიტიურად განეწყოს საქართველოს კულტურული მრავალფეროვნების მიმართ და გაიაზროს ჰარმონიული თანაარსებობის მნიშვნელობა ინდივიდისა და საზოგადოებისათვის.

1. საშინაო დავალების შემოწმება (2 წუთი);
2. რამდენიმე ნამუშევრის პრეზენტაცია, ვიზუალური მასალების გამოყენება (6 წუთი);
3. ახალი მასალის უკეთ გააზრებისა და კულტურული მრავალფეროვნებისადმი მოსწავლეთა დამოკიდებულების გამოვლენის მიზნით, მასწავლებელი კლასს ყოფს ჯგუფებად და აძლევთ დავალებას: აირჩიეთ საქართველოში მცხოვრები რომელიმე ეთნიკური უმცირესობა (სომხები, აზერბაიჯანელები, რუსები, ებრაელები, ბერძნები, ოსები, ქურთები, ასირიელები...) და ჩამოთვალეთ მათთვის დამახასიათებელი ტრადიციები, დღესასწაულები, საჭმელი, სამოსი და სხვა ნიშნები. თქვენი აზრით, რა ელემენტები აერთიანებს დღეს საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებს? (7 წუთი);
4. ჯგუფის პრეზენტაციები და მასწავლებლის კომენტარები (8 წუთი);
5. მინი-ლექცია: მასწავლებელი საუბრობს საქართველოს კულტურულ მრავალფეროვნებაზე (6 წუთი);
6. სასურველია დოკუმენტური ფილმიდან „მრავალეთნიკური საქართველო“ კადრების ჩვენება (7 წუთი);
7. დისკუსია თემაზე: მრავალეთნიკურ ქვეყანაში რამ შეიძლება გამოიწვიოს პრობლემები — კულტურათაშორისმა განსხვავებებმა, თუ მათმა არასწორმა აღქმამ და ინტერპრეტაციამ? (6 წუთი);
8. დისკუსიის შეჯამება (2 წუთი);
9. მოსწავლეებს ეძლევათ დავალება - მოიძიონ ინფორმაციები მათ რეგიონში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების შესახებ და წარმოაჩინონ საკუთარი დამოკიდებულება მათ მიმართ (1 წუთი).

ფილმი – „მრავალეთნიკური საქართველო“ – http://diversity.ge/geo/resources.php?coi=0|13|11

48. კულტურული შოკი

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლემ უნდა გაიაზროს ტერმინ კულტურული შოკის მნიშვნელობა; მაგალითების განხილვით გამოყოს კულტურული შოკის საფეხურები; ისწავლოს მისი დაძლევის გზები.

1. მასწავლებელი კლასს აცნობს გაკვეთილის თემას და მიზანს, ესაუბრება განსახილველი საკითხის მნიშვნელობაზე (3 წუთი);
2. გონებრივი იერიშის მეთოდით ადგენს, რა იციან კულტურული შოკის შესახებ (4 წუთი);
3. მასწავლებელი მოსწავლეებს ესაუბრება კულტურული შოკის არსზე, მის 5 საფეხურზე; იძლევა რეკომენდაციებს მისი თავიდან აცილების ან შოკის შემსუბუქებისათვის (8 წუთი);
4. წყვილებში მუშაობა: მოსწავლეები კითხულობენ ქართველი სტუდენტის მონათხრობს და გამოყოფენ მასში კულტურული შოკის საფეხურებს (7 წუთი);
5. ნამუშევრების წარდგენა და განხილვა (8 წუთი);
6. მოსწავლეები ეცნობიან დამატებით ინფორმაციას და გამოთქვამენ მოსაზრებებს წაკითხულთან დაკავშირებით (7 წუთი);
7. ეწყობა დისკუსია: როგორ ფიქრობთ, შეიძლება კულტურული შოკი იქცეს მარგინალობის საფუძვლად? კლასი იყოფა 2 ნაწილად. მონინააღმდეგე მხარეები ცდილობენ თავიანთი პოზიციების გამყარებას მაგალითებით. შესაძლებელია „კალამი-მიკროფონის“ გამოყენებაც (10 წუთი).
8. მასწავლებელი აჯამებს დისკუსიას და მოსწავლეები მიჰყავს იმ დასკვნამდე, რომ კულტურის, როგორც საზოგადოებათა მსგავსებისა და განსხვავების საფუძვლის სწორად გააზრება პიროვნების ინტერესების წარმატებული რეალიზაციის ერთ-ერთი წინაპირობაა (5 წუთი).

49. სტერეოტიპი

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლემ უნდა გაიაზროს სტერეოტიპის არსი; მსოფლიო მაგალითების განხილვით, განასხვაოს და შეადაროს ერთმანეთს სოციალურ-კულტურული ნორმები და სტერეოტიპები; იმსჯელოს სტერეოტიპიზაციის საფრთხისა და მისი თავიდან აცილების გზების შესახებ.

1. გაკვეთილი იწყება გონებრივი იერიშით: მასწავლებელი დაფის ცენტრში წერს სიტყვას სტერეოტიპი და მოსწავლეებს მიმართავს შეკითხვით: როგორ განმარტავდით მას? (1 წუთი);
2. მასწავლებელი ისმენს მოსწავლეთა პასუხებს, გამოყოფს მათ შორის სწორ ვარიანტს და ატარებს მინი-ლექციას (7 წუთი);
3. წყვილებში მუშაობა: მოიფიქრეთ ფიზიკური, ინტელექტუალური და ზნეობრივი სტერეოტიპების მაგალითები (6 წუთი);
4. პრეზენტატორები წარადგენენ თავიანთ ნამუშევრებს (6 წუთი);
5. მასწავლებელი კლასს მიმართავს შეკითხვით: რომელი ავტოსტერეოტიპების დასახელება შეგიძლიათ? მოსაფიქრებლად ეძლევათ 3 წუთი.
6. მაგალითების დასახელების შემდეგ მასწავლებელი დაფას ყოფს ორ ნაწილად და მოსწავლეებს სთხოვს, დასახელებული სტერეოტიპები დააჯგუფონ პოზიტიურ და ნეგატიურ სტერეოტიპებად. ერთ-ერთი მოსწავლე საბოლოო ვარიანტს წერს დაფის შესაბამის გრაფაში (5 წუთი);
7. მოსწავლეები ათვალიერებენ გაკვეთილში მოცემულ კარიკატურულ სახეებს და გადმოსცემენ მათი ნახვით გამოწვეულ გრძნობებს (4 წუთი);
8. სასურველია მასწავლებლის მიერ წინასწარ მოპოვებული ვიდეომასალის ჩვენება (5 წუთი);
9. მინი-დისკუსია: რა საფრთხეებს შეიცავს სტერეოტიპები და რა შეიძლება გაკეთდეს მათი თავიდან აცილებისათვის? (6 წუთი);
10. მასწავლებელი გაკვეთილის ბოლოს აკრავს თვალსაჩინოებას, რომლითაც აჯამებს დისკუსიას (2 წუთი):

50. კულტურათაშორისი ურთიერთობის ბარიერები: რასიზმი და ქსენოფობია

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლე უნდა გაეცნოს რასიზმისა და ქსენოფობიის არსსა და ფორმებს; იმსჯელოს მათზე, როგორც კულტურათაშორისი დიალოგის დამაბრკოლებელ ფაქტორებზე.

1. გაკვეთილის მიზნისა და თემის გაცნობა (2 წუთი);
2. წინა გაკვეთილის გახსენება. მოსწავლეები ერთმანეთს უსვამენ შეკითხვებს და სარგებლობენ თანატოლთა შეფასების სქემით (5 წუთი);
3. პროვოცირების მიზნით, მასწავლებელმა ახალი გაკვეთილი შეიძლება დაიწყოს ვიდეოფილმის ეპიზოდის ჩვენებით, რომელშიც მოცემულია რასიზმისა და ქსენოფობიის ფაქტები (10 წუთი);
4. გონებრივი იერიში: თქვენი აზრით, რა შეიძლება წარმოადგენდეს კულტურათაშორისი ურთიერთობის ბარიერებს და რა იყო ფილმის მთავარი სათქმელი? მასწავლებელი ისმენს მოსწავლეთა პასუხებს (7 წუთი);
5. ამის შემდეგ მოსწავლეები ეცნობიან ახალ მასალას ნიშანთა სისტემის გამოყენებით და სამუშაო რვეულში ჩამოწერენ კითხვებს, რომლებიც ამ ტექსტის წაკითხვის შემდეგ გაუჩნდათ (7 წუთი);
6. მასწავლებელი გამოიკითხავს, რა გაიგეს მოსწავლეებმა გაკვეთილის წაკითხვის შემდეგ და ცდილობს პასუხი გასცეს მოსწავლეთა შეკითხვებს (5 წუთი);
7. წყვილებში მუშაობა: რა სიტყვებით აღინიშნებ(ოდ)ა სხვა, უცხო ქართულ და სხვა ენებში? რა სახის განსხვავებებს უსვამს ხაზს ეს სიტყვები? გამოხატავს თუ არა ისინი საკუთარ უპირატესობას სხვებთან შედარებით? (პასუხის ნიმუში პირველ შეკითხვაზე: ურჯულო, გიაური, გოი, გრინგო, იანკი ...) (5 წუთი);
8. მასწავლებელი თავად ასახელებს პრეზენტატორს და პასუხების მოსმენის შემდეგ აჯამებს გაკვეთილს (7 წუთი);
9. მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, შეაფასონ გაკვეთილის აქტივობები (2 წუთი).

ფილმები

,,მისისიპი ცეცხლში'' – ალან პარკერი, 1988.
„კურდღლების ღობე“ – ფილიპ ნოისი, 2002.

51. ისტორიის გაკვეთილები

გაკვეთილის მიზანი: ისტორიული მაგალითების განხილვის საფუძველზე, მოსწავლემ უნდა იმსჯელოს ქსენოფობიისა და რასიზმის გამოვლინების შედეგებზე; შეძლოს ქსენოფობიისა და რასიზმის გამოვლინებათა იდენტიფიცირება; გაიაზროს ჰარმონიული კულტურათაშორისი ურთიერთობის, შემწყნარებლობისა და ურთიერთპატივისცემის მნიშვნელობა გაკვეთილში აღწერილი კატასტროფული მოვლენების თავიდან აცილებისათვის.

1. გაკვეთილი იწყება სიტუაციური თამაშით: „მე არ ვარ რასისტი, მაგრამ...“ (ტრანსპორტით მგზავრობისას თქვენს გვერდით დაჯდა შავკანიანი..., „სხვა“ მეზობელი, თანაკლასელი და ა.შ.). როგორია თქვენი პირველი რეაქცია? (8 წუთი);
2. ამის შემდეგ იმართება მსჯელობა, მოსწავლეები გამოთქვამენ თავიანთ შეხედულებებს და აკრიტიკებენ მათთვის მიუღებელ პოზიციას (6 წუთი);
3. მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, წაიკითხონ საგაკვეთილო მასალა აქტიური კითხვის მეთოდის გამოყენებით და შეავსონ კორნელის დაფა (პირველადი კომენტარი — ფაქტობრივი და მეორადი კომენტარი — ემოციური, კრიტიკული) (10 წუთი);
4. ნამუშევრების წარდგენა კლასის წინაშე და მასწავლებლის განმავითარებელი შეფასება (8 წუთი);
5. დისკუსია: ჩვენ მიჩვეული ვართ ქართულ ტოლერანტობაზე საუბარს, ახლა „ახალი“ უცხოელები გვყავს (შავკანიანები, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიელები, ჩინელები, თურქები...), როგორია საზოგადოების დამოკიდებულება მათ მიმართ? (8 წუთი);
6. მასწავლებელი აჯამებს დისკუსიას და კლასი მიჰყავს იმ დასკვნამდე, რომ:

- თანამედროვე ეტაპზე სახელმწიფოსა და საზოგადოების წარმატებული განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული კულტურათაშორისი ურთიერთობების ჰარმონიულ ხასიათზე;
- განსხვავებული კულტურის პატივისცემას, კულტურული მრავალფეროვნების, როგორც ფასეულობის დამკვიდრებას და ინტერკულტურული კომუნიკაციის უნარის გამომუშავებას განსაკუთრებული როლის შესრულება შეუძლია ქვეყნის ცხოვრებაში (5 წუთი).

ფილმები

,,პიანისტი'' – რომან პოლანსკი, 2002.

,,ჯოჯოხეთიდან ჯოჯოხეთში'' – დიმიტრი ასტრახანი, 1996.

,,შინდლერის სია“ – სტივენ სპილბერგი, 1993.

52. ეთნოცენტრიზმი

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლე აცნობიერებს ეგოცენტრიზმისა და ეთნოცეტრიზმის ცნებათა არსს; განიხილავს მათი გამოვლენის კონკრეტულ მაგალითებს და მსჯელობს მათი თავიდან აცილების აუცილებლობაზე.

1. მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს გაკვეთილის თემას და მიზანს; ესაუბრება ამ გაკვეთილით მიღებული უნარების საჭიროებაზე (2 წუთი);
2. მოსწავლეთა მოტივაციის მიზნით, მასწავლებელი ყვება ხუმრობას სამხედრო პირზე, კლასს სთხოვს, დაახასიათოს ეს ადამიანი (3 წუთი);
3. აზრთა გამოთქმისა და მცირე კამათის შემდეგ მასწავლებელი საუბრობს ეგოცენტრიზმზე, ხსნის ეთნოცენტრიზმის არსს (7 წუთი);
4. წყვილებში მუშაობა: გაიხსენეთ ეთნოცენტრიზმის მაგალითები და ახსენით, რით არის იგი გამოწვეული? კარგი იქნება, თუ მოსწავლეები თავად მიუსადაგებენ ამ საკითხს „კულტურის სათვალეს“ (6 წუთი);
5. პრეზენტაციების მოსმენა და მასწავლებლის განმავითარებელი კომენტარი (7 წუთი);
6. მოსწავლეები ინდივიდუალურად ეცნობიან დამატებით ინფორმაციას - აკირემას ტომში გავრცელებულ რიტუალს პასუხს სცემენ დასმულ კითხვას. აკირემა მარჯვნიდან მარცხნივ იკითხება როგორც ამერიკა. მოტანილი ციტატის ავტორს სურდა ეჩვენებინა, რამდენად განსხვავებულად შეიძლება აღიწეროს კულტურაში არსებული ერთი და იგივე წესი სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლების

მიერ, რომლებიც თავიანთი კულტურის სათვალით არიან „შეიარაღებულნი“ (7 წუთი);

7. ერთ-ერთი მოსწავლე კითხულობს ორმაგი ეთნოცენტრიზმის მაგალითს, რის შემდეგაც ეწყობა დისკუსია: იმსჯელეთ ზაზასა და იაპონელი გოგონას ქცევაზე. რომელი მათგანი მოიქცა არასწორად? რამ გამოიწვია გაუგებრობა? როგორ შეიძლებოდა მისი თავიდან აცილება? (10 წუთი);

8. მასწავლებელი აჯამებს დისკუსიას: ეს გაუგებრობა გამოიწვია სხვა კულტურაში არსებული წესების უცოდინარობამ. ასეთი გაუგებრობები საკმაოდ ხშირია. ზაზას და იაპონელ გოგონას ზუსტად ერთი და იგივე შეცდომა მოუვიდათ – მათ ვერ გაითვალისწინეს საჩუქართან დაკავშირებული თავისებურებები იაპონურ და ქართულ კულტურებში (3 წუთი).

53. ეთნორელატივიზმი

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლემ უნდა გაიაზროს ეთნორელატივიზმის არსი; გააცნობიეროს მისი პრინციპები და მნიშვნელობა კულტურათა ჰარმონიული თანაარსებობისათვის; იმსჯელოს კულტურული რელატივიზმისა და „ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციის“ ურთიერთმიმართებაზე.

1. გაკვეთილი იწყება საშინაო დავალების შემოწმებით. თანატოლთა შეფასების სქემის გამოყენება (7 წუთი);

2. მასწავლებელი, კლასის პროვოცირების მიზნით, ახალ მასალაზე გადასვლას იწყებს შეკითხვით: თქვენი აზრით, არსებობს თუ არა უნივერსალური საზომი, რომლის მიხედვითაც შევაფასებდით, რომელი კულტურა ჩაითვალოს ეტალონად და სხვა კულტურათა შეფასების საფუძვლად? (2 წუთი);

3. მოსწავლეები გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს (4 წუთი);

4. მასწავლებელი წერს სიტყვას ეთნორელატივიზმი და ატარებს მინი—ლექციას (7 წუთი);

5. დისკუსია: მოსწავლეები ეცნობიან სადისკუსიო თემას და გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს რეგლამენტის დაცვით (7 წუთი);

6. მოსწავლეები ფასდებიან აქტიურობისა და არგუმენტირებული მსჯელობის მიხედვით (4 წუთი);

7. დამატებითი საკითხავის გაცნობა და მსჯელობა თემაზე: შესაძლებელია თუ არა კულტურული რელატივიზმისა და „ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციის“ შეთანხმება? (8 წუთი);

8. გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი კიდევ ერთხელ ამახვილებს ყურადღებას რელატივიზმის სამ პრინციპზე და თვალსაჩინო ადგილზე აკრავს ფორმატს, სადაც ჩამოწერილია თითოეული მათგანი (3 წუთი);

9. მასწავლებელი მოსწავლეებს სთხოვს, შეაფასონ დღევანდელი გაკვეთილი, ფურცლებზე დაწერონ, რა იყო კარგი და რა – ცუდი (3 წუთი).

54. ინტერკულტურული კომუნიკაცია. ინტერკულტურული დიალოგი

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლემ უნდა იმსჯელოს კულტურათა თანაბარ მნიშვნელობაზე, მათ შორის დიალოგის შესაძლებლობასა და საჭიროებაზე; ინტერკულტურული დიალოგი განიხილოს როგორც კონფლიქტების პრევენციის საშუალება; მაგალითებით განსაზღვროს შემწყნარებლობისა და ტოლერანტობის მნიშვნელობა.

1. გაკვეთილს მასწავლებელი იწყებს მცირე შესავლით და აღნიშნავს, რომ იგი დაეთმობა იმ მიზნების კიდევ ერთხელ გააზრებასა და შეჯამებას, რომელსაც ისახავს საგანი მსოფლიო კულტურა (3 წუთი);
2. მასწავლებელი საუბრობს თანამედროვე მსოფლიოს მრავალფეროვნებასა და ინტერკულტურული დიალოგის აუცილებლობაზე (6 წუთი);
3. კლასი იყოფა ოთხ ჯგუფად. ჯგუფები ასრულებენ კომიტეტის მოვალეობებს:
   1) „ენობრივ განსხვავებათა კომიტეტი“.
   2) “არავერბალური კომუნიკაციის საკითხთა კომიტეტი“.
   3) „სტერეოტიპების კომიტეტი“.
   4) „ეთნოცენტრიზმის კომიტეტი“.
4. კომიტეტებს ევალებთ, შეიმუშაონ დებულებები, რომლითაც შესაძლებელი იქნება კულტურათაშორისი ბარიერების დაძლევა და ინტერკულტურული კომუნიკაციის ხელშეწყობა (მოსწავლეებმა უნდა გაიხსენონ შესწავლილი თემები და შეძლონ არსებული ცოდნის გამოყენება) (10 წუთი);
5. თავმჯდომარეების მიერ დოკუმენტის წარდგენა (8 წუთი);
6. მიღებული დოკუმენტის შედარება გაკვეთილის დასაწყისში მოცემულ ტექსტთან და თვითშეფასება (6 წუთი);
7. წყვილებში მუშაობა: ჩამოწერეთ რეგიონები, სადაც „სხვასთან“ კონტაქტი და მასთან დიალოგი საუკუნეების მანძილზე მიმდინარეობდა და მთელი ისტორიის განმსაზღვრელ ფაქტორად იქცა (5 წუთი);
8. ნამუშევრების გაცნობა-შეფასება (6 წუთი);
9. მასწავლებელი ურიგებს მოსწავლეებს პირველ გაკვეთილზე („მრავალფეროვანი მსოფლიო“) დაწერილ ესეს „ჩვენ მრავალფეროვან მსოფლიოში ვცხოვრობთ“ და სთხოვს, ხელახლა გაიაზრონ ის.
10. საშინაო დავალება: დაწერეთ თემა: „ინტერკულტურული კომუნიკაციისა და დიალოგის მნიშვნელობა საქართველოსათვის“(1 წუთი).

აბზიანიძე, ზ., ელაშვილი, ქ., სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედია. ტ. I. თბ., „ბაკმი“, 2006

არაბული, ე., ტალახაძე, ი., ბერძენიშვილი, დ. კვიკვინია, რ., მოგზაურობა საქართველოში (საქართველოს ისტორია). I-II ნაწ. თბ., „დიოგენე“, 2011

ეთნოსები საქართველოში. რედ. მ. ბასილია. თბ., 2008

ემბერი, მ. ემბერი, ქ.რ., ჰერეგრინი, პ.ნ. ანთროპოლოგია. თბ., ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009

კულტუროლოგია. რედ. გ. ლორთქიფანიძე, ლ. გორდეზიანი. თბ., თბილისის სახელმწიფო უნივერისტეტის გამომცემლობა, 2003

ლორთქიფნიძე, გ., ჩიქოვანი, ნ. ქართული კულტურის ისტორია. თბ., თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1997

რელიგიები საქართველოში. რედ. ზ. კიკნაძე. თბ., 2008

წერეთელი ი., კაკიტელაშვილი, ქ. კულტურა და მოდერნიზაცია. თბ., „ნეკერი“, 2006

ჩიქოვანი, ნ. რელიგია და კულტურა სამხრეთ საქართველოში. თბ., „ნეკერი“, 2006

ჩიქოვანი, ნ. საქართველოს კულტურული რაობა და ცივილიზაციური კუთვნილება ცივილიზაციათა თეორიის კონტექსტში. თბ., თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2005

ჰანთინგტონი ს.პ ცივილიზაციათა შეჯახება? თბ., 1998

ჰოფსტედე, გ., ჰოფსტედე, გ. ი. კულტურები და ორგანიზაციები. გონების პროგრამული უზრუნველყოფა. თბ., ილიას სახ. უნივერსიტის გამომც. 2011.

Companion Encyclopedia of Anthropology. Ed. by Tim Ingold. Routledge, 2002

Cultural Theory. The Key Concepts. Ed. by A. Edgar, P. Sedgwick. Routledge, Second edition. 2008

Hall, E.T. Beyond Culture. Anchor Books, Random House, Inc., 1989

Hall, E.T. Hidden Dimension, Anchor Books, Random House, Inc., 1966

Hall, E.T. The Silent Language. Anchor Books, Random House, Inc., 1959

Hofstede, G.J., Pedersen P.B., Hofstede G. Exploring Culture. Intercultural Press, Inc., 2002

Jandt, F.E. An itroduction to Intercultural Comunicatin. Identities in a Global Comunication. SAGE, 2010

Kottak, C.F., Cultural Anthropology. Eighth edition. Mc Graw Hill, 2000

Taylor O. L. Cross-Cultural Communication: An Essential Dimension of Effective Education, 1990

Triandis, H.C. Culture and Social Behavior, McGraw-Hill, Inc, 1994

UNESCO Guidelines on Intercultural Education.

UNESCO Universal Declaration on Cultural Diversity. 2 November, 2001

www.culturedialogue. com